პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წლიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
ტფ. სრ. საქ. მ., გ. წ. შრ. და მეგრ.
დეპ. სამ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქციის 14—76, მდივნის 10—58

გაზეთის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 103 ოთხშაბათი 16 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000 მან. № 1 9

დღიური

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საპასუხო ნოტა გადასცა ინგლისის მთავრობას. საპასუხო ნოტა დაწვრილებით პასუხს იძლევა ინგლისის ყველა პრეტენზიებზე.

ინგლისის დიდი მოძრაობა ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა რუსეთისადმი გამოგზავნილ ნოტის წინააღმდეგ.

მთელ საბჭოთა ფედერაციაში მუშებს და გლეხებს საპროტესტო რეზოლიუციები გამოაქვთ ინგლისის ნოტის წინააღმდეგ.

ინგლისის და იტალიის მთავრობებმა საპასუხო ნოტა გადასცეს გერმანიას, რომელსაც სთხოვენ ახალი მოთხოვნილებების წამოყენებას.

საერთო აღშფოთების ტალღა მთელს ფედერაციაში

ჩვენ არ გვინდა ვიწინასწარმეტყველოთ იმის შესახებ, თუ რა „დადებითი“ შედეგებს მიაღწევს ურკარტ-კერზონების კომპანია იმ თავხედი და პროვოკაციული ნოტით, რომელიც გადასცა მან საბჭოთა მთავრობას, მაგრამ ერთი თვალსაჩინო ეფექტი ამ ყაჩაღური გამოსვლის აშკარაა უკვე დღეს მთელი მსოფლიოსათვის: ეს არის საერთო აღშფოთების ტალღა, რომელიც გაგორდა მთელი ფედერაციის სივრცეზე, ის ერთსულოვანი პროტესტი, რომელიც ამოხდა გულის სიღრმიდან მრავალ მილიონებიან მასებს საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირისას.

მუშურ-გლეხურ მასებს ჩვენი რესპუბლიკებისას არა ერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი უსაზღვრო ნდობა რევოლიუციონური ხელისუფლებისადმი, დაუნახვებიათ შინაურ და გარეშე მტრებისა და მეგობრებისათვის ის ღრმა კავშირი, რომლითაც შედუღებული არიან ურთიერთ შორის ხელმძღვანელები და მათი მიმდევარი მასები. ამ ინტიმურ მჭიდრო კავშირს უპოვია და ის ჰპოულობს გამოხატულებას ყოველ დღიურ მშვიდობიან ორგანიულ მუშაობის დროს, რომელსაც ეწევა ახალი ცხოვრების გზაზე შემდგარი ქვეყანა. ის კიდევ უფრო განმტკიცებულა საგარეო საფრთხის დროს, როგორსაც წარმოადგენდა წარსულში შინაურ კონტრ-რევოლიუციონერებზე და მეზობელ მტაცებლებზე დაყრდნობილი ევროპის იმპერიალისტების შემოტევა. საკმაოა გავიხსენოთ თუ გინდ პოლონეთ-რუსეთის ომი, როდესაც საბჭოთა მთავრობის ირგვლივ მოხდა კონცენტრაცია მთელი ერის, ყველა სასიცოცხლო ძალების. მთელი მშრომელი ხალხის იმავე ერთსულოვანებისა და თავის მთავრობისადმი ღრმა ნდობის მედგარი დემონსტრაციის მოწამენი ვართ ჩვენ დღესაც ინგლისის კონსერვატიული მთავრობის გამოსვლის გამო.

რას მოასწავებს ეს ერთსულოვანება, რაზე ღაღადებს ეს „ხმა ერისა“ მთელს ფედერაციაში?

მხოლოთ იმაზე, რომ საბჭოთა ქვეყნების მშრომელებს ღრმათ აქვთ შეგნებული ის საფრთხე, რომელსაც წარმოადგენს მათი და წინა ომებში დაღუპულ რევოლიუციონერების სისხლით დაპყრობილი მიწა-წყალისა და თავისუფლებისათვის იმპერიალისტების ზრახვები, თუ ისინი გაჰბედავენ და შეეცდებიან მათ სისრულეში მოყვანას—ეს ერთი. მეორეც—იმაზე, რომ ერთად ერთი საიმედო და სანდო ძალა, რომელიც გაუძღვება ამდგარ ხალხს სრული გამარჯვებისკენ არის დღეს მხოლოთ და მხოლოთ საბჭოთა მთავრობა და ფოლადის რიგებით შედუღებული ხელმძღვანელი პარტია საბჭოთა კავშირის, დიდი კომუნისტური პარტია. სწორეთ ეს ორი მომენტი უდევს საფუძვლათ იმ განსაცვიფრებელ ერთსულოვანებასა და სოლიდარობას, რომლის დემონსტრაციას აქვს დღეს ადგილი ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში.

ხალხი და მთავრობა, მშრომელი მასები და მათი ხელმძღვანელები, გადაჯაჭვულნი ერთი-ერთმანეთზე ასეთი ნდობით, გამსჭვალულნი ერთი სულისკვეთებითა და თავიანთი დიადი მიზნებისათვის თავგანწირულების გრძნობით, უძლეველია. უძლეველნი იყვნენ ისინი წარსულში, ასეთივე დარჩებიან ისინი მომავალში, სანამ არ გაიმარჯვებენ საბოლოოთ თავიანთ მტრებზე შიგნი და გარეთ.

საბჭოთა მთავრობის პასუხი

დღეს მკითხველი გაეცნობა საბჭოთა მთავრობის პასუხს ინგლისის მემორანდუმზე.

წინააღმდეგ უკანასკნელისა, რომელიც აღმაშფოთებლად თავხედურია, შეურაცმყოფელი და გამომწვევი, ჩვენი მთავრობის საპასუხო ნოტა თავდაჭერილად, ლოიალურადაა შედგენილი და გამსჭვალულია მშვიდობიანობის უაღრესი სურვილით.

და ეს არა იმიტომ, რომ ინგლისის მთავრობა მართალი იყოს და ჩვენ კი დანაშავე ათას ცოდვებში, რომლებშიც ის გვამტყუნებს. პირიქით როგორც ამხ. ტროცკიმ სთქვა მოსკოვის საბჭოს საგანგებო სხდომაზე, „ჩვენ საკმაო საბუთი გვაქვს აღშფოთებისათვის, კბილთა ღრჭენისათვის და მუშტის საჩვენებლად, მაგრამ ახლა, ასეთ მომენტში, ჩვენ არ გადავსდგამთ არც ერთ ისეთ ნაბიჯს, არ ვიტყვით არც ერთს ისეთ სიტყვას, რომელიც გაამწვავებს მდგომარეობას და გზას დაუხურავს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას“.

ჩვენ გვსურს ამოვწუროთ ყველა საშუალებანი შეიარაღებული კონფლიქტის ასაცილებლად და მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, რაც ასე ესაჭიროება როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მთელი მსოფლიოს მშრომელთ და პატიოსან მოქალაქეთ. ამიტომაც საბჭოთა მთავრობა კერზონის მუქარაზე, რომელიც გაისმის მის მემორანდუმში, სანამ, რა თქმა უნდა, ეს მუქარა-სიტყვიერ ფარგალს არ გასცილებია, — საბჭოთა მთავრობა უპასუხებს საქმიანი წინადადებებით სადავო საკითხების და ურთიერთი დამოკიდებულების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ.

არც იმით აიხსნება ზომიერი ტონი ჩვენი პასუხის, რომ თითქო ჩვენ სუსტნი ვიყოთ, არ შეგვწევდეს ძალა თავდაცვის, მტრების მოგერიების, ხოლო ჩვენი მოწინააღმდეგე ძლიერი იყოს, და მას შეეძლოს საბჭოთა ქვეყნების მშრომელებისათვის ქედის მოხრევინება.

ის საყოველთაო დემონსტრაციები საბჭოთა კავშირის მშრომელებისა, მათი მზად ყოფნა საკადრისი პასუხის გასაცემად გათავხედებულ მტრებისათვის, ყველასათვის თვალსაჩინოდ ღაღადებს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეს, მის დაუძლეველობას.

მეორე მხრივ, ის აღშფოთება და პროტესტები ინგლისის მუშათა კლასის, და არა მარტო მუშათა კლასის, თავის მთავრობის ავანტიურისტული ნაბიჯის წინააღმდეგ, აგრეთვე მჭერმეტყველურად ამბობს, თუ რა მერყევ ნიადაგზე დგას ბ. კერზონი თავისი ულტიმატუმებით.

მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, საბჭოთა მთავრობა, როგორც ყოველთვის, ეხლაც მიილტვის მშვიდობიანი გზით მოაგვაროს დამოკიდებულება ლონდონთან. ამას ადასტურებს ჩვენი მთავრობის საპასუხო ნოტაც.

მასში გარჩეულია კერზონის ბრალდებები და მოთხოვნები და გამოაშკარავებულია მათი სრული უსაფუძვლობა და უმართებულობა.

მთავარი „ბრალდება“ ეხება საბჭოთა მთავრობის თითქო ანტი-ბრიტანულ კამპანიას აღმოსავლეთში.

ჩვენი მთავრობის პასუხში დამტკიცებულია, რომ ლონდონის მთავრობა ამ შემთხვევაში ემყარება ყალბ ან ტენდენციურად გაშუქებულ ფაქტებსა და საბუთებზე.

ამასთან საპასუხო ნოტა ხაზს უსვამს, რომ თუ ინგლისს ანტი ბრიტანულ კამპანიად მიაჩნია ის გარემოება, რომ რუსეთი მისდევს აღმოსავლეთში საკუთარ პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება აღმოსავლეთის ხალხებთან მეგობრულ დამოკიდებულების დამყარებაში,—ამაზე საბჭოთა მთავრობა ხელს ვერ აიღებს, ასეთი ვალდებულება არც უკისრია რუსეთს ინგლისის წინაშე სავაჭრო ხელშეკრულებაში, რომლის დარღვევაში გვდებს ბრალს ბ. კერზონი.

ინგლისის მემორანდუმში, შემდეგ, მოყვანილია შემთხვევები რუსეთის მთავრობის მიერ ინგლისელ მოქალაქეთა უფლებების და ინტერესების თითქო დარღვევის. ჩვენი მთავრობა გადაჭრით უარჰყოფს ასეთ ფაქტების არსებობას; პირიქით, აღნიშნავს, რომ ინგლისის ხელისუფლებამ თავის მოქმედებით დიდი ზარალი მიაყენა რუსეთის მოქალაქეთ, რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შემდეგაც.

ინგლისის მთავრობა აგრეთვე პროტესტს უცხადებს ჩვენი მთავრობის მიერ ჩრდილოეთის ნაპირებთან თორმეტ მილიან ზონის დაწესებისათვის და მოითხოვს სამ მილიანი ზონით დაკმაყოფილებას.

მიუხედავად ინგლისის მთავრობის მტრული განწყობილებისა, საბჭოთა მთავრობა, როგორც წინედ, ეხლაც მზად არის მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში ამ საკითხის შესახებ და დაემორჩილოს მის დადგენილებას.

ცალკე უნდა იქნას აღნიშნული ინგლისის მემორანდუმის ის მუხლი, რომელიც ეხება ეკლესიის და სარწმუნოების საკითხს რუსეთში. აქაც არის აშკარა ცდა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის, რასაც ჩვენი მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. ის მაინც, სწორი ინფორმაციისათვის, კატეგორიულად უარყოფს მტკიცებას რომელიმე რელიგიის დევნის შესახებ რუსეთში.

მაგრამ უმთავრესი მიზეზი, როგორც ნოტა სამართლიანად შენიშნავს, აღმოცენებულ კონფლიქტისა და საერთოდ ანტანტის ქვეყნების არანორმალურ დამოკიდებულებისა საბჭოთა კავშირთან, არის ის გარემოება, რომ ვერსალის ავტორებს არ სურთ სხვა ქვეყნებთან დაამყარონ ურთიერთობა მხარეთა ნამდვილ თანასწორობის საფუძვლებზე.

ჩვენი მთავრობა ხმამაღლა და გადაჭრით აცხადებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკები არ შეიძლება იყვნენ უცხოელ მთავრობის ნებასურვილებისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში.

საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს ლონდონის კაბინეტს, ორივე მხარის სრულუფლებიანობის და თანასწორობის საფუძველზე მოწვეულ იქნეს კონფერენცია სადავო საკითხების და საერთოდ საბჭოთა კავშირის და დიდ-ბრიტანეთის ურთიერთობის მოსაგვარებლად მთელი თავისი სისრულით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ინგლისი არ გამოიჩენს სურვილს მშვიდობიანი გზით გადაჭრას შექმნილი კონფლიქტი და არჩევს კავშირის გაწყვეტას რუსეთთან,—ამის შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ და მარტო ინგლისს.

ასეთ შემთხვევაში დეე აგოს მან პასუხი საქმეთა მოსალოდნელ გართულებისათვის.

ინგლისის ნოტის გარშემო

საბჭოთა მთავრობის პასუხი ინგლისის მემორანდუმზე

მოსკოვი. 14 მაისი. ინგლისის აგენტს მოსკოვში ხოჯსონს შაბათს დილით გადაეცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ლიტვინოვის მიერ ხელმოწერილი პასუხი საბჭოთა მთავრობისა ინგლისის მემორანდუმზე 8 მაისის თარიღით.

პასუხში ნათქვამია.

„თუმცა უკანასკნელ ხანებში ევროპაში გაძლიერებული რეაქცია, რომელსაც თან სდევს საბჭოთა რესპუბლიკებისადმი მტრობის გაძლიერება შესაძლებლად ხდიდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მტრული ნაბიჯების საფრთხეს, მაგრამ მაინც დიდი ბრიტანეთის მთავრობის მემორანდუმი, რომელსაც ულტიმატუმის ხასიათი აქვს და იმუქრება ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი სამეურნეო ურთიერთობის გაწყვეტით, სრულიად მოულოდნელი იყო რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობისათვის თავისი მკაცრი დაუსაბუთებელი მტრული კილოთი.

რუსეთის მთავრობამ დააფასა ის მდგომარეობა, რომ დიდმა ბრიტანეთმა პირველმა დიდი სახელმწიფოების რიცხვში საბჭოთა რესპუბლიკებთან შეთანხმება დასდო. ეს შეთანხმება, ისე როგორც შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან ზავის და ევროპის ყველა სახელმწიფოების ეკონომიური კეთილდღეობის აღდგენის აუცილებელი ფაქტორია, რადგან დიდი მნიშვნელობა ევროპის ბაზარზე რუსეთის ნედლი მასალის გამოტანისა, რომლის ექსპორტი ყოველთვიურად იზრდება, ახლა უკვე არავისთვის სადაო არ არის

რუსეთის მთავრობა არ უარყოფს რა ბრიტანეთის მემორანდუმში აღნიშნულ არანორმალობას ახლანდელ ურთიერთობაში, თავის მხრივ მუდამ ცდილობდა ურთიერთობის სავსებით მოწესრიგებას და შეთანხმების უფრო მტკიცე ბაზის შექმნას, რომელიც შეუძლებელს გახდიდა უთანხმოებას და კონფლიქტებს. შეთანხმების ახლანდელი არადამაკმაყოფილებელი ბაზა აირჩია თვით დიდმა ბრიტანეთმა. მაგრამ თვით ამ ბაზის ფარგლებშიც დიდი ბრიტანეთის მთავრობა ყოველთვის გაურბოდა ორივე მხარეს შორის სადავო საკითხების საქმიან განხილვას და შექმნა ურთიერთობის ისეთი წესი, რომელიც შეუძლებლად ხდიდა არსებულ კონფლიქტების დამაკმაყოფილებლად გადაჭრას.

საბჭოთა მთავრობა უარყოფს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ბრალდებას გამომწვევ ნაბიჯებში, რომელიც თითქოს არა ერთხელ გადასდგა საბჭოთა რუსეთმა დიდ ბრიტანეთის მიმართ. პირიქით, შეიძლება დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხრივ რუსეთის მთელი ხალხის გამოწვევის მრავალი შემთხვევის მოყვანა. საკმაო გახსენება იმ უყურადღებობის, რომელიც გამოიჩინა დიდმა ბრიტანეთმა სრუტეების, აღმოსავლეთ გალიციის, მემელის, ბესარაბიის და სხვა საკითხების განხილვის დროს.

მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის მთავრობას მოეპოვებოდა მრავალი მასალა, რომლებიც ამტკიცებდენ საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დიდი ბრიტანეთის აგენტების მტრულ მოღვაწეობას, მაგალითად ახლო ხანში ინგლისის კონსულების მიერ თეთრგვარდიელთა გენერლებისათვის დახმარების აღმოჩენას, ოფიცრების შეგროვებას და გაგზავნას თეთრგვარდიელების მიერ დაჭერილ ვლადივასტოკში და სხვა, მაგრამ ის არ მიმართავდა საპროტესტო ნოტებით ინგლის-რუსეთის შეთანხმების დარღვევის გამო და მუდამ ცდილობდა დიდ ბრიტანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას.

სამწუხაროდ, დიდი ბრიტანეთი მიწერ-მოწერის დროს სარგებლობდა მეტად საეჭვო მასალებით საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ. რუსეთის მთავრობას ასეთ შემთხვევებში უხდებოდა მტკიცება, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა შეცდომაში შეჰყავდათ უპასუხისმგებლო ბოროტგამზრახველებს, რომლებსაც ანგარებითი მიზნები ამოქმედებდა. ეს გვიჩვენებს თუ რა მღვრიე წყაროებიდან ჩხრეკდენ საბუთებს, რომლებსაც ჩირქი უნდა მოეცხოთ რუსეთის მთავრობისათვის. რუსეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ ბრიტანეთის მთავრობის უკანასკნელ მემორანდუმში მოყვანილი ამონაწერები და ციტატები წარმოადგენენ შეთხზულ ჭორების და სხვა და სხვა დეპეშების ნაწილების ტენდენციოზურად დამუშავებულ და ზეპირად შევსებულ შეზავებას, ასეთია მაგალითად ციტატა, რომელიც შეეხება სპარსეთს და მითითება რასკოლნიკოვის დეპეშაზე.

ე. წ. აღმოსავლეთში პროპაგანდის სფეროში მემორანდუმში წამოყენებულ ამ და სხვა ბრალდებათა განხილვას. საბჭოთა მთავრობა უმიზნოთ თვლის, მათი დაუსაბუთებლობის გამო. ეს ბრალდებები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს თითქოს რუსეთის რესპუბლიკას არ უნდა ქონდეს საკუთარი პოლიტიკა აღმოსავლეთში. ასეთი ვალდებულება რუსეთს არასოდეს არ მიუღია თავის თავზე და ასეთ შეთანხმებაზე ინგლისთან ხელი არ მოუწერია. აღმოსავლეთის ერებთან მეგობრული კავშირის დაცვა და განვითარება საბჭოთა მთავრობას არ მიაჩნია ინგლის-რუსეთის ხელშეკრულების დარღვევათ. ჯერ კიდევ 1921 წლის 27 ოქტომბრის ნოტაში საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევდა ინგლისს აღმოსავლეთში გაუგებრობის ასაცილებლად საშუალებებზე მეგობრულად მოლაპარაკების შესახებ. მაგრამ ინგლისი, საბჭოთა მთავრობისათვის ულტიმატუმის წარდგენამდი, ყოველთვის გაურბოდა ამას.

თუმცა დიდი ბრიტანეთის მთავრობა ულტიმატუმის წარდგენის საჭიროებას ასაბუთებდა რუსეთის მთავრობის მიერ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეთა ინტერესების დარღვევაზე მითითებით, მაგრამ მას არ მოუყვანია მის მოქალაქეთა ინტერესების დარღვევის არც ერთი ფაქტი ინგლის-რუსეთის შეთანხმების არსებობის განმავლობაში. მემორანდუმში აღნიშნულ პერიოდში კი რუსეთის მოქალაქეთა უფრო მეტი რიცხვი დაზარალდა ინგლისის ადმინისტრაციის მოქმედებით. რომ დავდგეთ კომპენსაციის თვალსაზრისზე, სამართლიანობა მოითხოვს ორივე მხარის დაკმაყოფილებას.

7 მაისის ნოტაში რუსეთის მთავრობამ სავსებით გააშუქა ტერიტორიალური წყლების საკითხი და აღნიშნა საერთო სავალდებულო საერთაშორისო ნორმების უქონლობა და სხვა და სხვა ქვეყნების პრაქტიკის განსხვავება ამ სფეროში. რუსეთის მთავრობა იმეორებს თავის განცხადებას ამ საკითხის გასარჩევად კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მზად ყოფნის და მისი დადგენილებებისათვის დამორჩილების შესახებ.

თუმცა ინგლისის ტრალერები შემოვიდენ რუსეთის ტერიტორიულ წყლებში, მაგრამ მიუხედავათ ამისა რუსეთის მთავრობამ გაათავისუფლა ისინი. მას არ შეუძლია თავის თავზე მიიღოს პასუხისმგებლობა ქარიშხალის დროს რუსეთის მცველ რაზმთან ერთად დაღუპულ ტრალერის გამო, მაგრამ მზად არის ტრალერის დაღუპვაში პასუხისმგებლობის საკითხი გასარჩევად გადასცეს სამედიატორო სასამართლოს.

თუმცა საკითხი რუსეთში ეკლესიების მდგომარეობის შესახებ არ შეეხება ინგლისსა და რუსეთს შორის ურთიერთობას, მაგრამ მაინც ჭეშმარიტების აღსადგენათ რუსეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს მტკიცებას რომელიმე სარწმუნოების დევნის შესახებ. თავის ნოტაში მოქალაქე ვაინშტეინი ყველაზე ნაკლებ ფიქრობდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის შეურაცყოფის შესახებ და სურდა მხოლოდ დაენახვებია თუ რაოდენ უხერხულია ორივე მხარისათვის შინაურ საქმეებში ჩარევა.

საბჭოთა მთავრობა დიდ ბრიტანეთსა და მას შორის მომხდარ გაუგებრობის მთავარ მიზეზათ სთვლის იმ ფაქტს, რომ ვერსალის ზავის შემდეგ ანტანტის ზოგიერთ წრეებს არ სურთ სხვა ქვეყნებთან საქმე იქონიონ მხარეების ნამდვილი თანასწორობის საფუძველზე. რუსეთის მთავრობა საჭიროთ სთვლის განაცხადოს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობას არ შეიძლება რაიმე საერთო ქონდეს უცხოეთის სახელმწიფოების ნება-სურვილისაგან დამოკიდებულებასთან.

მიუხედავათ გაუგებრობათა განმეორებისა, საბჭოთა რესპუბლიკები დიდათ აფასებენ დიდბრიტანეთთან ახლანდელ დამოკიდებულებას და ცდილობენ მის განვითარებას საბჭოთა კავშირის და ინგლისის ერების საყოველთაო მშვიდობიანობისათვის. და ამიტომ მზად არიან არსებულ კონფლიქტების კეთილ სასურველათ მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის ნაბიჯი ალბათ გამოწვეულია საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობის ბრუნდეთ გაშუქებით თეთრგვარდიელების ზეგავლენით ისინი ამახინჯებენ სინამდვილეს.

იღებს რა მხედველობაში ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას და ცნობებს საბჭოთა რესპუბლიკების მეზობელ სახელმწიფოების შესახებ, და აგრეთვე ამ სახელმწიფოებში მოკავშირეთა გენერლების მგზავრობას, კერძოთ კი ინგლისის სამხედრო მისიის მიერ რუმინეთის საზღვრების დათვალიერებას, რუსეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ურთიერთობის გაწყვეტას შესაძლოა მოყვეს მეტად დიდი გართულება, რომელიც საფრთხე იქნება მშვიდობიანობისათვის.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა, კავშირის გაწყვეტით, მეტად დიდ პასუხისმგებლობას აიღებდა თავის თავზე. ამიტომ რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ არ არის არავითარი საბუთი კავშირის გასაწყვეტად და რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის სადაო საკითხების უმრავლესობა იმდენათ უმნიშვნელოა მოსალოდნელ შედეგებთან შედარებით, რომ ორივე მხარის კეთილი სურვილით ამ კითხვების დამაკმაყოფილებლად გადაჭრა ორივე სახელმწიფოების წარმომადგენლების თათბირზე ყოველივე დაბრკოლების გარეშე ადვილი შესაძლებელია სულ მოკლე დროში. საბჭოთა მთავრობას გულწრფელათ სურს შეთანხმების მიღწევა. მას რჩება გამოსთქვას იმედი, რომ ასეთ სურვილს გამოიჩენს დიდი ბრიტანეთიც.

საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს დიდი ბრიტანეთის მთავრობას მიიღოს კონფერენციის მეთოდი და შეთანხმდეს დროსა და ადგილის შესახებ როდის და სად შესძლებდენ ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არა მარტო სადაო კითხვის განხილვას და გადაჭრას, არამედ საბჭოთა რუსეთსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის სავსებით მოგვარებას.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ინგლისის ნოტის წინააღმდეგ

99 პროცენტი განხეთქილების წინააღმდეგ

სტოკჰოლმი. 13 მაისი. ნორვეგიის კომპარტიის ორგანო „არბეიდერბლადეტ“-ი სწერს: „99 პროცენტი ლაპარაკობს რუსეთსა და ინგლისს შორის განხეთქილების შესაძლებლობის წინააღმდეგ, ვინაიდან ინგლისს ყველაზე უკეთესად ესმის, რომ განხეთქილება გამოიწვევს ომს, რომელიც გაამწვავებს დამოკიდებულებას ინგლისის რეაქციონურ მთავრობასა და მუშათა კლასს შორის.

ინგლისის ტრედ-უნიონების ყრილობა განხეთქილების წინააღმდეგ

ბერლინი. 14 მაისი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, ვესტმინსტერში გაიმართა ინგლისის ტრედ-უნიონების და მათ მომხრე ორგანიზაციების ყრილობა კერზონის ნოტის გამო შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. მიღებული რეზოლიუცია მოითხოვს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას და აკრიტიკებს ინგლისის მთავრობას, რომელმაც გაგზავნა ულტიმატუმი ყრილობა ამ ულტიმატუმს უწოდებს კონტრ-რევოლიუციონერებისათვის დახმარების გაწევას.

რეაქციონერების მობილიზაცია

ბერლინი. 14 მაისი. ინგლისის მთავრობამ სთხოვა ყველა მის მომხრეებს დაესწრონ პალატის სხდომას, რომელიც გაიმართება სამშაბათს. ამ თხოვნაში მთავრობა აღნიშნავს მნიშვნელობას კამათის, რომლის დროსაც მუშათა ფრაქცია და დამოუკიდებელი ლიბერალები გაილაშქრებენ მთავრობის წინააღმდეგ.

ინგლისში არავის არ სურს ომი რუსეთთან

ლონდონი. 13 მაისი. მუშათა მიტინგის და ინგლისის საზოგადოებრივი აზრის საერთო განწყობილების მიხედვით, უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ მუშათა ფრაქციას პარლამენტში მხარს დაუჭერენ სხვა ფრაქციებიც კერზონის მოქმედების განხილვის დროს.

გაზეთები სწერენ, რომ კერზონმა უკიდურესი ხაზი აიღო. ინგლისში არავის არ სურს ომი რუსეთთან.

დიდ მნიშვნელობას აძლევენ კრასინის ჩამოსვლას და იმედი აქვთ, რომ მისი დიპლომატიური ნიჭით და პარლამენტში მუშათა ფრაქციის გავლენით გაგრძელებული იქნება სავაჭრო შეთანხმება.

კერზონის მომხრეები განხეთქილების წინააღმდეგ

ლიფილდი. 14 მაისი. ლონდონში ლაპარაკობენ, რომ თუ რუსეთის სავაჭრო დელეგაცია გაძევებული იქნება ლონდონიდან, ის გადავა სტოკჰოლმში ან კოპენჰაგენში, სადაც განაგრძობს მუშაობას. მთავარი დაბრკოლება რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის შენარჩუნებისათვის მდგომარეობს იმ მტრულ პოზიციაში, რომელიც უჭირავს კერზონს. მაგრამ ბევრი მისი მომხრეებიც წინააღმდეგნი არიან განხეთქილების.

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთს

ლონდონი. 13 მაისი. დღეს ლონდონში გაიმართა ინგლისის მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე წამოყენებული იყო ლოზუნგი: „ძირს ომი“, „ინგლის-რუსეთის სავაჭრო შეთანხმება დაცული უნდა იქნეს, ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა რუსეთის სრულ ცნობას“.

მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც აფრთხილებენ ბრიტანეთის მთავრობას, რომ რუსეთთან სავაჭრო შეთანხმების გაუქმებას სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ ინგლისის მუშები. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ მთავრობამ უკან დაიბრუნოს კერზონის ნოტა და გადაჭრას სადავო საკითხები კონფერენციის საშუალებით.

საპროტესტო დემონსტრაციები იმპერიალიზმის თავდასხმის წინააღმდეგ

ოდესაში

ოდესა. 13 მაისი. გუშინ ქალაქის საბჭოს პლენუმზე გამოიხატა ახალი ძლიერი პროტესტი საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. პლენუმის სხდომაზე გამოცხადდენ მრავალრიცხოვანი დელეგატები მუშების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებიდან.

მუშები სიტყვებში აღნიშნავდენ, რომ ამხ. ვოროვსკის მოკვლამ კიდევ უფრო მეტად შეაკავშირა მუშები თავის ხელმძღვანელ კომუნისტური პარტიის გარშემო მსოფლიო მტაცებლების წინააღმდეგ.

შემდეგ ტრიბუნაზე ადის 12 უცხოელი მეზღვაური. მეზღვაურებმა განაცხადეს, რომ ისინი უერთდებიან თავიანთ პროტესტს ოდესის მუშებს ამხ. ვოროვსკის მოკვლის წინააღმდეგ.

პლენუმმა დაადგინა უკვდავ ჰყოს ამხ. ვოროვსკის ხსოვნა.

საგულისხმოა ის, რომ გერმანიის გემის მეზღვაურებმა მგლოვიარების და პროტესტის ნიშნად გამოაცხადეს გუშინ გაფიცვა და აღმართეს თავიანთ გემებზე წითელი დროშები, სამგლოვიარო არშიებით. მეზღვაურებმა დემონსტრაციები გამართეს ოდესის ქუჩებში წითელ დროშებით, რომლებზედაც შემდეგი წარწერა იყო: „გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკას, გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას მთელს მსოფლიოში“.

ცარიცინში

ცარიცინი. 13 მაისი. ცარიცინის მუშები ასეულ სამგლოვიარო და ბრძოლის დროშებით მოგროვდენ მიტინგზე, რომელმაც მიიღო გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაციის სახე მსოფლიო იმპერიალიზმის თავდასხმის წინააღმდეგ.

მიტინგის შემდეგ მრავალრიცხოვანი მუშათა მასები, გარნიზონთან ერთად გაემართა საგუბერნიო კომიტეტისაკენ. მიტინგზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია რომ ცარიცინის პროლეტარიატი საბჭოების პირველი მიწოდებისას გამოვა მშრომელთა რესპუბლიკის დასაცავად.

ჩიტაში

ჩიტა. 13 მაისი. ცნობამ ინგლისის ულტიმატუმის და ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ აღაშფოთა მთელი ქალაქი შესდგა ქალაქის საბჭოს სასწრაფო სხდომა, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლების თანადასწრებით. რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შორეულ-აღმოსავლეთის ბიუროს მდივანმა ამხ. კუბიაკმა მიმართა მუშებს სიტყვით, რომელშიაც განაცხადა: „შორეულ აღმოსავლეთის მუშები და გლეხები, რომლებმაც თავი დააღწიეს ინტერვენციის უღელს და შესძლეს შეერთებიათ შორეული აღმოსავლეთი საბჭოთა რუსეთისათვის, ეხლაც გმირულად შეხვდებიან საფრთხეს.

მთელი გარნიზონი შეიარაღებული გაემართა ქალაქის საბჭოსაკენ. გარნიზონის წარმომადგენლებმა თავიანთ მიმართვაში განაცხადეს: „არმია მზად არის და იყოს მუშების და გლეხების მშვიდობიანი შრომა“. ამის შემდეგ — ქალაქის საბჭომ, მრავალრიცხოვანი მუშების და გარნიზონის თანადასწრებით გამართა დემონსტრაცია ქუჩებში

რუსეთის ყველა კუთხეებში

მოსკოვი. 14 მაისი. აუარება დეპეშები ფედერაციის ყველა კუთხიდან გადმოგვცემენ, რომ ყოველგან გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებიც მოწმობენ იმ უსაზღვრო აღშფოთებას, რომლითაც რუსეთის პროლეტარიატი შეხვდა ცნობას ინგლისის ულტიმატუმის და ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ.

გომელში, ნიჟნი-ნოვგოროდში, იაროსლავში, ბაქოში, ელისავეტგრადში, ეკატერინბურგში, სარატოვში, პეტროვსკში, პიატიგორსკში, დონის როსტოვში, ნოვოჩერკასკში, პეტროზავოდსკში, მინსკში, ომსკში, არხანგელსკში და სხვა ქალაქებში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები, ქალაქის საბჭოების სასწრაფო პლენუმები, გრანდიოზული მიტინგები ყველა ფაბრიკებში, ქარხნებში და წარმოებებში.

ნიჟნი-ნოვგოროდში მრავალრიცხოვან მუშათა მიტინგზე კენჭის ყრით მიღებულია რეზოლიუცია ანტანტის კაპიტალისტების წინააღმდეგ ერთსულოვნად გამოსვლის შესახებ.

გომელში მიტინგებზე გამოვიდენ სოფლიდან ჩამოსული გლეხები, რომლებმაც განაცხადეს: „თუ ბურჟუაზია მოგვაშორებს ჩვენ მშვიდობიან შრომას, მთელი გლეხობა საჭიროების დროს იარაღს მოჰკიდებენ ხელს“.

ბაქოში ცნობამ ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ გამოიწვია ერთსულოვანი აღშფოთება. ეკატერინბურგში ამ ცნობის მიღების შემდეგ ქუჩებში სტიქიურად გაიმართა მოძრავი მიტინგები, რომლებმაც მიიღო მასიური დემონსტრაციის ხასიათი.

სარატოვში მოედანზე მრავალ-რიცხოვანი მასების დასწრებით შესდგა ქალაქის საბჭოს სასწრაფო სხდომა. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „საჭიროების დროს რესპუბლიკის ყველა ძალები მიმართული იქნება მტრის წინააღმდეგ“.

პოკროვსკში უპარტიო მუშების და გლეხების მიტინგზე მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ ვფიცავთ ავადმყოფ ილიჩის წინაშე, კაპიტალის უღელს ჩვენ არ დავიდებთ. ოქტომბრის არც ერთ მონაპოვარს ჩვენ არ დავსთმობთ“.

მინსკში ცის ქვეშ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დაესწრენ 10,000 მუშა, წითელარმიელები და მშრომელი ინტელიგენცია. დამსწრეებმა განაცხადეს, რომ ისინი დაიცავენ საბჭოთა ხელისუფლებას და მეგობრულ ხელს გაუწოდებენ საფრანგეთის და ინგლისის მუშებს.

ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა

მოსკოვი. 15 მაისი. ამხ. სტეკლოვი, ეხება რა „იზვესტია“-ში რუსეთის პასუხს ინგლისის ნოტაზე, აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა სავაჭრო ხელშეკრულებაში ცდილობდა გვერდი აეხვია ძირითად საკითხისათვის ზოგადი ფრაზით აღმოსავლეთში ბრიტანეთის საწინააღმდეგო პროპაგანდის დაუშვებლობის შესახებ. მაგრამ რადგანაც ეს ფრაზა, სწერს ამხ. სტეკლოვი, მრავალმხრივ შეიძლება განმარტებული იქნეს, ვინაიდან ასეთი დაუსაბუთებლობის დროს გაუგებრობა და კონფლიქტი არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც, აქედან ცხადად გამომდინარეობს ის, რომ შეთანხმება ინგლისს და რუსეთს შორის დღის წესრიგში ისმება. ამ შეთანხმებას ჩვენ არა ერთხელ მოვითხოვდით, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობა ამაზე დაჟინებით უარს ამბობდა. ეხლა მოხდა ის, რაც ჩვენ წინადაც გათვალისწინებული გვქონდა. ჩვენ კვლავ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის მიზნით მოვითხოვთ საკითხების საერთოდ გადაჭრას ორთავე მთავრობის მიერ და საერთო შეთანხმებას, რომელიც მოსპობს მომავალში ასეთი სამწუხარო გაუგებრობის შემთხვევებს.

მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ ორთავე მხარე თანაბრად იყოს დაინტერესებული მშვიდობიანობით, რომ არც ერთი მათგანი არ ცდილობდეს თავზე მოახვიოს მეორეს თავისი სურვილი. ამის შესახებ საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტაში გარკვევით არის ლაპარაკი. ნამდვილი ურთიერთობის დამყარება საბჭოთა რესპუბლიკებთან ულტიმატუმების და მუქარის გზით შეუძლებელია. გამომდის რა ამ დებულებებიდან საბჭოთა მთავრობა მოითხოვს ბრიტანეთის მთავრობისაგან კონფერენციაზე იქნეს გადაჭრილი კერძო საკითხები, რომლებიც ყოფენ ორთავე სახელმწიფოს და აგრეთვე გადაჭრილ იქნეს საერთო საკითხები, რომლებიც იწვევენ გაუგებრობას. სხვა გზა საყოველთაო მშვიდობიანობის მისაღწევად და იმ კონფლიქტების თავიდან ასაცდენად, რომლებიც ემუქრებიან ევროპას ახალი ქაოსის გამოწვევით, არ არის და არ შეიძლება იყოს.

საბჭოთა მთავრობამ სთქვა თავისი სიტყვა. ეხლა ჯერი მიდგა ბრიტანეთის მთავრობაზე და ბრიტანეთის საზოგადოებრივ აზრზე, რომელმაც უნდა აღიაროს, რომ საბჭოთა რუსეთთან ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ თანასწორთან თანასწორის შეთანხმების ნიადაგზე.

კრასინის ჩასვლა ლონდონში

ლიფილდი. 14 მაისი. დღეს ლონდონში მოელიან მოსკოვიდან ჰაეროპლანით კრასინის მისვლას.

ბევრი ნიშნები იმას მოწმობენ, რომ რუსეთ-ინგლისის კონფლიქტი გადაჭრილი იქნება სავაჭრო ურთიერთობის შეუწყვეტლად. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ტრალერი „ჯეიმს ჯონსონი“ განთავისუფლებულია. ეს ტრალერი დაჯარიმებულია 50 გირ. სტერლინგით.

ინგლისი სტყუის

უმაღლეს საეკლესიო საბჭოს მიმართვა კენტერბერიის არქიეპისკოპოსისადმი.

მოსკოვი. 14 მაისი. მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესმა საბჭომ მიმართა კენტერბერიის არქიეპისკოპოსს დეპეშით, რომელშიაც მიუთითებს ინგლისის ნოტის იმ ნაწილის სიყალბეზე, რომელიც შეეხება რელიგიის მდგომარეობას რუსეთში. დეპეშაში ნათქვამია: „მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი საბჭო ღრმა კმაყოფილების გრძნობით აცხადებს, რომ ეხლანდელი რელიგიური ცხოვრება რუსეთში სარგებლობს ისეთი თავისუფლებით, რომელიც მას არასოდეს და არც ერთი მთავრობის დროს არ ქონებია. სამოქალაქო ხელისუფლების მიერ ეკლესიის მსახურთა გასამართლება აიხსნება მით, რომ უკანასკნელებმა დაარღვიეს საბჭოთა რესპუბლიკის არსებული კანონები და პასუხისმგებლობა ამ დარღვევებისათვის ეკუთვნის მათ და მათი ბოროტი საქმისათვის ხელის შემწყობთ.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ერთგულია სახარების, მისწრაფვის ყველა ერების ძმური ერთობისაკენ. მაგრამ სამშობლოს ღირსების შელახვის შემთხვევაში, ის აკურთხებს თავის მრევლს აღსდგეს სამშობლოს დასაცავად და თავი შესწიროს თავის სახელმწიფოს გადარჩენის საქმეს.

რუსეთის მეცნიერები საბჭოთა რესპუბლიკის სადარაჯოზე.

მოსკოვი. 14 მაისი. გუშინ გაიმართა მოსკოვის მეცნიერების მრავალ-რიცხოვანი კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებები გააკეთეს ამხ. ამხ. სემაშკომ და ლუნაჩარსკიმ. მოისმინა რა მოხსენებები, კრებამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას და გადასწყვიტა გაუგზავნოს დასავლეთის მეცნიერებს დეპეშა, რომელშიაც გამოთქმული იქნება პროტესტი კერზონის ნოტის გამო, დეპეშაში აღნიშნული იქნება აგრეთვე ის, რომ კერზონის პოლიტიკა საფრთხეს უმზადებს მსოფლიო კულტურას.

რადიო-დეპეშები

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო

სკანდინავიის პრესა მკვლელობის შესახებ.

სტოკჰოლმი. 13 მაისი. სკანდინავიის პრესა ბევრ ადგილს უთმობს ამხ. ვოროვსკის მოკვლას და აგრეთვე ინგლისის მთავრობის ულტიმატუმს. გაზეთებში მრავლათ მოთავსებული დეპეშები ავრცელებენ ბურჟუაზიული გაზეთების ვერსიას თითქოს მკვლელობა მოხდა ბოლშევიკებისადმი პირადი მტრობის ნიადაგზე.

ნორვეგიის კომპარტიის ორგანო „არბაიდერბლადეტი“ კონრადს მოსყიდულ მკვლელს უწოდებს.

პროლეტარული რევოლიუციის გასამარჯვებლად.

სტოკჰოლმი. 14 მაისი. შვეციის კომპარტიის ყრილობამ, რომელიც ხდებოდა სტოკჰოლმში, მიიღო რა ცნობა ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ, თავისი ღრმა აღშფოთება განაცხადა ამ საზიზღარი მკვლელობის გამო. ყრილობა სამარცხვინო ბოძზე აკრავს ფაშიზმს და გამოსთქვამს ბრძოლის მტკიცე სურვილს სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებამდი.

ამხ. ვოროვსკის წერილი.

ბერლინი. 14 მაისი. 9 მაისს, ამხ. ვოროვსკიმ — რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლს ბერლინში, ბროდოვსკის, გაუგზავნა წერილი, რომელშიც სხვათა შორის სწერდა: „შვეიცარიის ნაციონალური ლიგის დელეგაცია და ფაშისტები დაძრწიან ქალაქში და გაიძახიან, რომ ძალით გვაიძულებენ ჩვენ წავიდეთ შვეიცარიიდან. ჩვენ არ ვიცით იღებს თუ არა პოლიცია ზომებს ჩვენ დასაცავად შვეიცარიის მთავრობა პასუხისმგებელი იქნება ჩვენი ხელშეუხებლობის დარღვევაში. შვეიცარიის მთავრობის საქციელი კონფერენციის დასაწყისში მოცემული გარანტიების საზიზღარი დარღვევა იქნება და ყოველგვარი თავდასხმა ჩვენზე შეიძლება მხოლოდ ადმინისტრაციის თანხმობით და მისი დაუდევრობით. დე იყვენ ისინი პასუხისმგებელნი.

მკვლელობაში პასუხისმგებელია შვეიცარიის მთავრობა.

ბერლინი. 13 მაისი. შვეიცარიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა ბიურომ სასტიკი პროტესტი განაცხადა ამხ. ვოროვსკის მოკვლის და შვეიცარიაში ფაშიზმის შემოჭრის გამო. საპროტესტო რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ თუ ვოროვსკის მოკლამ გამოიწვია რუსეთში მყოფ შვეიცარიელ მოქალაქეთა მდგომარეობის გართულება, პასუხისმგებელი ამაში იქნება შვეიცარიის მთავრობა.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სამძიმარი განუცხადა რუსეთის დელეგაციას ლოზანაში.

ამხ. ვოროვსკის კუბოსთან.

ლოზანა. 14 მაისი. განსვენებული ამხ. ვოროვსკის ცხედარი მოთავსებულია კუბოში, რომელიც შემკულია აყვავებული ყვავილებით. განსვენებულის კუბოსთან დგას საპატიო ყარაული შვეიცარიის სხვა და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ კომუნისტებისაგან.

სამძიმარის გამოთქმა.

მოსკოვი. 14 მაისი. საგარეო საქმეთა კომისარიატმა მიიღო მრავალი დეპეშა, რომელშიც გამოსთქვამენ ღრმა თანაგრძნობას ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო. ასეთი დეპეშები მიღებულია ისმეტ-ფაშასგან, მონღოლეთის წარმომადგენლობისაგან, რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელისაგან ჩეხო-სლოვაკეთში, და აგრეთვე ბუხარისა და პოლონეთის წარმომადგენლებისაგან.

სამძიმარი მუსოლინისაგან.

მოსკოვი. 15 მაისი. იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ინახულა ამხ. ვოროვსკის მეუღლე და გადასცა მუსოლინის სამძიმარი ქმრის მოკვლის გამო.

იტალიის დელეგაციის სამძიმარი.

მოსკოვი. 15 მაისი. იტალიის დელეგაციის მეთაურმა ლოზანას კონფერენციაზე ამხ. არენსს თანაგრძნობა განუცხადა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

მკვლელობის გამორკვევა.

მოსკოვი. 14 მაისი. საგარეო საქმეთა კომისარიატმა თავისი წარმომადგენელისაგან შვეიცარიაში მიიღო დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ამხ. ვოროვსკის მოკვლის ცნობის მიღებისთანავე წითელი ჯვარის წარმომადგენელი გაემგზავრა ლოზანაში. ამხ. დივილკოვსკის და არენსს არავითარი საფრთხე არ მოელის. ამხ. ვოროვსკის ცხედარის გადატანას დაესწრენ ჟურნალისტების, გერმანელ, ოსმალო და ბერძენი მუშების წარმომადგენლები და შვეიცარიის ქალაქების დელეგაცია.

მოწვეული ექსპერტები არკვევენ საქმის ნამდვილ ვითარებას.

ეშინიათ სამართლიანი რისხვის.

ბერლინი. 13 მაისი. პოლიციამ ლოზანაში აკრძალა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო მოწვეული საპროტესტო კრებები.

ფაშისტები უარს ამბობენ.

ბერლინი. 13 მაისი. ფაშისტები ლოზანის ნაციონალური ლიგის პრეზიდიუმი უარყოფს ყოველგვარ კავშირს იტალიის ფაშიზმთან.

საპროტესტო დემონსტრაცია.

ბერლინი. 13 მაისი. 13 მაისს ბერლინში გაიმართა კომუნისტების დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100.000 კაცმა. დემონსტრაცია ჩატარდა სოც.-დემ. მხრივ კომუნისტების დევნის და ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო პროტესტის ნიშნის ქვეშ. დემონსტრაციას არაჩვეულებრივი ელფერი და ენერგია ემჩნეოდა. დემონსტრაციას წინ მიუძღოდენ პროლეტარული თავდაცვის რაზმები წითელი დროშებით და საბჭოთა ვარსკვლავებით. განსაკუთრებით დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ბაქოს პროლეტარიატის სახელით ბერლინის მუშებისათვის გადაცემულმა დროშამ.

რურის ოლქის ოკუპაცია

ხიდის აფეთქება.

პარიზი. 14 მაისი. დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობით, რეინგერნეს არხთან ხიდის აფეთქების გამო, მიმოსვლა შეწყვეტილია. ქალაქის ბურგომისტრი ოსტენფელდი დააპატიმრეს. ქალაქს შეაწერეს ჯარიმა.

მადლობა ძმური დახმარებისათვის.

ხარკოვი. 14 მაისი. საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატის მიერ რურის მუშებისათვის გაგზავნილი პურის მხლებელი, ხარკოველი მუშა ბულგაკოვი იტყობინება, რომ მიუხედავად დემონსტრაციების აკრძალვისა დაკავებულ ოლქებში, მუშები რუსეთის მუშათა დელეგაციის მისვლის გაგებისას გამოვიდენ მისასალმებლად წითელი დროშებით. ესსენში დორტმუნდში და სხვ. ადგილებში დელეგაციას ხვდებოდენ ოვაციებით და ინტერნაციონალის სიმღერით.

ინგლისის საპასუხო ნოტა გერმანიას

ლონდონი. 14 მაისი. დღეს ინგლისის საპასუხო ნოტა გადაეცა გერმანიის წარმომადგენელს ლონდონში. ნოტის შინაარსი ეცნობა საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებს. ნოტაში ნათქვამია შემდეგი: ინგლისის მთავრობას არ შეუძლია დაფაროს, რომ გერმანიის მთავრობის წინადადებამ მოახდინა არა სასურველი შთაბეჭდილება და იმედი გაუცრუა როგორც ინგლისის, ისე სხვა მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობებს. გერმანიის მთავრობას ეს უნდა გაეთვალისწინებია და თავი შეეკავებინა ასეთ წინადადებებისაგან. უკანასკნელი, როგორც ფორმით, ისე შინაარსით შორ არის იმისაგან, რასაც მოელოდა ინგლისის მთავრობა ინგლისის და გერმანიის მთავრობებს შორის მრავალჯერ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. გერმანიის მიერ წარმოდგენილი საკონტრიბუციო გადასახადის საერთო ჯამი არ არის საკმაო და შორს არი ის ჯამიდან, რომელიც ინგლისმა წარადგინა პარიზის კონფერენციაზე განსახილველად. კონტრიბუციის გადახდა დაკავშირებულია გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემასთან, რომლის უზრუნველყოფა შეუძლებელია, ამრიგად გერმანიის მთავრობა თანახმაა გადაიხადოს ის თანხა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განაღდებული. დასასრულ ნოტაში გამოთქმულია იმედი, რომ გერმანიის მთავრობა მიიღებს მხედველობაში ზემოდ მოყვანილ მოსაზრებებს და განაახლებს თავის წინადადებებს და ისე შესცვლის მათ, რომ ისინი საფუძვლად დაუდონ მოლაპარაკების დაწყებას.

იტალიის საპასუხო ნოტა გერმანიას

რომი. 15 მაისი. იტალიის საპასუხო ნოტა გერმანიის წინადადებებზე აღნიშნავს, რომ ეს წინადადებები ვერ იძლევიან ისეთ საფუძველს, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა სერიოზული მოლაპარაკების დაწყება იტალიის მთავრობასო, ნათქვამია ნოტაში, იმედი ქონდა, რომ გერმანია წამოაყენებდა უფრო მისაღებ პირობებს. კონტრიბუციის და სამხედრო ვალების საკითხში ისე მტკიცეთ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ მათი დაჩქარებით მათი გადაჭრის არ მოთხოვნა შეუძლებელია. თუმცა იტალიის მთავრობა არ დაეთანხმა ბონარ-ლოუს მიერ პარიზის კონფერენციაზე წარმოდგენილ გეგმას, მაგრამ გერმანიის ახლანდელი წინადადებები უფრო მიუღებელია ვიდრე ბინარ ლოუს გეგმა. ნოტა ურჩევს გერმანიის მთავრობას წამოაყენოს უფრო მისაღები წინადადებები, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მოლაპარაკების განახლება.

ლოზანას კონფერენცია

ოსმალეთის დელეგაცია არ უთმობს

ლოზანა 13 მაისი. მოკავშირეებმა თხოვნით მიმართეს ისმეტ ფაშას, რათა ოსმალეთმა მიანიჭოს ბელგიას, პოლონეთს და ჩეხო-სლოვაკიას ის შეღავათები, რომელსაც საზავო ხელშეკრულების ფინანსიური და ეკონომიური მუხლები აწესებს.

მღელვარე სცენა

ლოზანა. 13 მაისი. ვენიზელოსსა და ისმეტ ფაშას შორის მღელვარე სცენა მოხდა. ისმეტ-ფაშა რეპრესიების მიღების მუქარით მოითხოვდა საბერძნეთში გადასახლებულ ოსმალთა დაცვისათვის ზომების მიღებას.

შეთანხმება არ არის მიღწეული.

რომი. 11 მაისი ლოზანას კონფერენციის ეკონომიური კომისია იხილავდა სავაჭრო ხელშეკრულების მუხლებს ოსმალეთის ნაპირებთან საკაბოტაჟო ცურვის შესახებ. კომისიამ ვერ შესძლო ამ საკითხში შეთანხმების მიღწევა.

პოლიტიკურ კომისიაში.

რომი. 14 მაისი. შესდგა ლოზანას კონფერენციის პოლიტიკური კომისიის სხდომა. ბელგიის, პოლონეთის პორტუგალიის და ჩეხო-სლოვაკიის საზავო ხელშეკრულების ფინანსიურ-ეკონომიურ სარგებელში მონაწილეობის შესახებ ჯერ შეთანხმება მიუღწეველია. სხდომაზე ირჩეოდა აგრეთვე ოსმალოების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მუხლები იმ უძრავ ქონებათა შესყიდვის შესახებ, რომელიც მოიპოვება სერბიაში, საბერძნეთში და კუნძულებზე და უნდა დაეთმოს იტალიას. საბერძნეთის და სამხრეთ სლავიის დელეგაციები დაჟინებით მოითხოვდენ ოსმალეთის წინადადების უარყოფას. სხდომის ბოლოს ოსმალეთის და საბერძნეთის დელეგაციებს შორის გაიმართა გაცხარებული დავა საბერძნეთში მყოფ ოსმალეთის მოქალაქეების ქონებათა ლიკვიდაციის საკითხის შესახებ. ვენიზელოსმა შეურიგებელ ფორმაში განაცხადა, რომ საბერძნეთი კატეგორიულ უარს ამბობს ოსმალეთის თვალსაზრისის მიღებაზე.

კონფერენცია უშედეგო იქნება.

ანგორა. 13 მაისი. სმირნას გაზეთი „ხედაი ხაკი“ ეხება ლოზანას კონფერენციის უშედეგო მუშაობას და სწერს: „ცხადია, საკითხი უნდა გადაიჭრას ბრძოლის ველზე“.

სამხედრო თათბირები

ვენა. 13 მაისი. ბუქარესტიდან გამგზავრების წინ საფრანგეთის გენერალ ლერონს თათბირი ჰქონდა რუმინიის სამხედრო პირებთან. თათბირზე დაესწრენ აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის და სამხრეთ-სლავიის სამხედრო ატტაშეები. ლერონი სამხრეთ-სლავიაში მიემგზავრება.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

გერმანია ამზადებს ახალ წინადადებას.

ლონდონი. 13 მაისი. ცნობების მიხედვით, საერთაშორისო ფინანსიურ მოღვაწეებთან თათბირის შემდეგ გერმანიის მთავრობა ამუშავებს ახალ სარეპარაციო წინადადებას.

ლანდტაგს სისხლის პოლიცია იცავს

ბერლინი 13 მაისი. პრუსიის ლანდტაგმა ხმის უმრავლესობით კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ დაადგინა დეპუტატ პიკს ჩამოერთვას დეპუტატის ხელშეუხებლობის ღირსება. კომისიამ პარლამენტის დისციპლინის შესრულებისათვის თეალყურის სადევნებლად დაადგინა მოწყობილ იქნას ლანდტაგის დაცვა სისხლის სამართლის დეპარტამენტის მოხელეებისაგან.

ფაშისტების დიქტატურა ბავარიაში.

ბერლინი. ბავარიის მთავრობამ დადგენილება გამოსცა, რომლის ძალითაც შემოღებულია სასტიკი სასჯელი ქვეყნის მტრებთან გამცემლურ თანამშრომლობისათვის. თვითდაცვის კავშირის ორგანიზაციისათვის, მთავრობის დაწესებულებებზე დაცინვისათვის, მცხოვრებთა ერთი ნაწილის მეორეზე წასისიანებისათვის, აკრძალულ კრებების მოწყობისა და არალეგალურ ლიტერატურის დაბეჭდვისათვის. გამოქვეყნებულ მოწოდებაში ბავარიის მთავრობა მხოლოდ კომუნისტებს უკიჟინებს სამშობლოს მტრებისათვის მხარის დაჭერას და პროლეტარულ შეიარაღებულ ჯგუფების მოწყობას; მოწოდება ბავარიის ფაშისტების მოქმედებაზე არაფერს ამბობს. „როტე ფანე“ გამოქვეყნებულ დადგენილებას ბავარიაში ოფიციალურად ფაშიზმის დიქტატურის გამოცხადებას უწოდებს.

მოგებათა ნუსხა

(მოგებიან სესხის გათამაშების შედეგი).

მოსკოვი. 13 მაისი. 1000 მანეთის (ოქროთი) მოგებათა ნუსხა,

1-ლი სერია. ბილეთების ნუმრები: 2069629, 0137216, 1233289, 1235861, 1423463, 1684945, 1878327, 1966604,

მე-2 სერია. ბილეთების ნუმრები: 0053994, 0102239, 0192979, 0782175, 0785797, 0902210, 0033216, 1024127, 1377860, 1500171, 1707299, 1717696, 1840686,

მე-3 სერია. ბილეთების ნუმრები: 0601020, 0937325, 1308341, 1331603, 1726820, 1880888.

მე-4 სერია. ბილეთების ნუმრები: 0237206, 0266547, 0347262, 0610421, 0652554, 0735042, 1175564, 1308673, 1323390, 1669533, 1710161, 1770856, 1890747.

მე-5 სერია. ბილეთების ნუმრები: 0316288, 1473943, 0888983, 0959939, 0978298, 1028181, 1663474, 1775908, 1965121, 1966644.

5.000 მანეთის (ოქროთი) მოგებანი:

1 სერია. ბილეთების ნუმრები: 1370777.

მე-2 სერია,—ბილეთების ნუმრები 729967, 1592374.

მე-3 სერია.—ბილეთების ნუმრები: 1925415, 604342 930385.

მე-5 სერია. ბილეთების ნუმრები; 1226241, 47657, 1281846, 676201.

10,000 მანეთის (ოქროთი) მოგებანი:

მე-2 სერია.—ბილეთების ნუმრები: 1828096, 855257.

მე-4-ე სერია. ბილეთების ნუმრები: 1263343, 1404379.

მე-5-ე სერია: 13606337.

25,000 მანეთის (ოქროთი) მოგებანი:

1 სერია. ბილეთების ნუმრები: 1675790.

მე-2 სერია. ბილეთების ნუმერი: 571970.

50.000 მანეთის (ოქროთი) მოგებანი:

მე-3-ე სერია. ბილეთის ნუმერი: 485725.

100,000 მანეთის (ოქროთი) მოგებანი:

მე 2-ე სერია. ბილეთის ნუმერი: 74866.

ტფილისის მუშების პროტესტი

პოლიგრაფიულ განყოფ. მუშებში.

პოლიგრაფიულ წარმოების მუშების კავშირის წევრების საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვირაპის მოხსენება ინგლისის 8 მაისის ნოტის შესახებ. მოხსენების შესახებ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა ცნობა ინგლისის ნოტისა და ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ, ქალ. თბილისის მბეჭდავთა საერთო კრება აღნიშნავს, რომ ინგლისის 8 მაისის ნოტა არის ორ სახელმწიფოს შორის დამყარებულ ნორმალურ დამოკიდებულებათა დარღვევა, საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა და ეხება მუშების პოლიტიკურ ინტერესებს. ამასთანავე ეს ნოტა არის ინგლისის ბურჟუაზიის მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის შეურაცხმყოფელი მორიგი პროვოკაცია. ჩვენ მბეჭდავები, ვაცხადებთ, რომ მშვიდობიანობა შეიძლება აღდგენილ იქნეს ჩვენთვის მისაღებ პირობებზე, მაგრამ ბურჟუაზიის გამოსვლას შესაფერად უნდა უპასუხოთ.

ამასთან ერთად მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობისაგან კატეგორიულ უარის თქმას ნოტის პირობებზე და ფიცსა ვსდებთ, რომ თუ კონფლიქტი აუცილებელი იქნება, დავიცავთ ჩვენი სოციალისტური სამშობლო. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ გვაქვს ძალა“.

კოლოფების სახელმწიფო ქარხანაში

კოლოფების 1-ლ სახელმწიფო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და მეორე საარტილერიო დივიზიის წითელ არმიელების შეერთებულმა საერთო კრებამ მოისმინა რა ამხანაგი მეძმარიაშვილის ინფორმაცია იტალიაში ჩვენი წარმომადგენლის ამხ. ვოროვსკის მხეცურად მოკვლისა და ინგლისის ულტიმატუმის შესახებ რ. ს. ს. ფ. რ. მიმართ, ჩვენ დასავლეთის იმპერიალისტების ამ აქტში ნათლად ვხედავთ ვერაგობას მუშათა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ისინი თავიანთ გაბოროტებაში გონებას კარგავენ და დაბრმავებულნი ულტიმატუმს უგზავნიან მუშათა თავისუფალ რესპუბლიკას. მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ ხუთი წელია, რაც განვთავისუფლდით მონობიდან და მოვიშორეთ კაპიტალიზმის დაწყევლილი უღელი. ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ: „შორს თქვენი დასვრილი ხელები, საბჭოთა ხელისუფლებისაგან, ჩვენ მოვითხოვთ ჩვენ მთავრობისაგან შესაფერი პასუხი გასცეს გაცოფებულ ძაღლების ყეფას.

ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი გამოველთ იარაღით ხელში ჩვენი რესპუბლიკის დასავლეთ კაპიტალისტების თავდასხმისაგან. ჩვენ წარმოების იარაღებს ბურჟუაზიისათვის სასიკვდილო იარაღებათ გადავადუღებთ.

გაუმარჯოს ჩვენს გაერთიანებას დასავლეთის პროლეტარიატთან!

თავმჯდომარე ყაზაროვი.

ამხ. კამოს სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების რეზოლიუცია.

„ჩვენ ამხ. კამოს სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა მოვისმინეთ რა ამხ. არხიმანდრიტოვის მოხსენება ინგლისის მთავრობის თავხედურ ულტიმატურ ნოტის შესახებ, ყველა იმპერიალისტების საერთო ცნობისათვის დავადგინეთ:

1. მომაკვდავ იმპერიალისტების თავხედობა და ყვირილი ჩვენ არ გვაშინებს, ჩვენ შევეჩვიეთ ამას და სხვას მათგან არც მოველოდით.

2. ჩვენთვის გასაგებია თუ რატომ გეჯავრებათ თქვენ ჩვენი ხელისუფლება, ჩვენ გვესმის ყველა თქვენი ზრახვები, მაგრამ... ფუჭია ყველა თქვენი ღონისძიებანი. ჩვენს ერთსულოვნებას ჩვენ მუშათა მთავრობასთან არა ყავს თანასწორი მთელ ქვეყნიერებაზე, მუშისა და გლეხის ხელისუფლებას ჩვენ არ გავცვლით.

3. ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა, ჩვენ არ გვინდა სისხლი. მაგრამ თუ ჩვენ მოგვახვევთ ომს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ უფლებას არ მოგცემთ ფეხზე დაგვაბიჯოთ, გახსოვდეთ თქვენი: დენიკინი, ვრანგელი, კოლჩაკი და სხვა დანარჩენი არამზადები... ყველა თქვენც ისეთივე ბედი გეწევათ. გეუბნებით, რომ ჩვენ მზად ვართ. მზათ არიან თქვენ მიერ დაჩაგრული მუშებიც ჩვენთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული წამოვიდენ საერთო მტრის წინააღმდეგ. შეეცადეთ, მოძებნეთ თქვენთვის სიკვდილი.

4. ჩვენმა სიამაყემ, ჩვენმა გამობრძმედილმა წითელმა ჯარმა დაუმტკიცა მთელ ქვეყანას თავისი ენერგია და ვაჟკაცობა. ფიცს ვაძლევთ ჩვენ მთავრობას, რომ მის პირველ დაძახილზე ყველა ჩვენ, როგორც ერთი კაცი, მზადა ვართ ყოველ წუთს დავდგეთ ჩვენ წითელ ჯარის სახელოვან დროშების ქვეშ და არაფერს არ დავზოგავთ საბჭოთა ხელისუფლების დაცვისა და მტრის სრულ განადგურებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს წითელ ჯარს!

გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს!

ძირს იმპერიალისტები!

ძირს სისხლის მსმელები!

უცხოეთის ცხოვრება

ევროპის ეკონომიური მდგომარეობა

გერმანიაში მომავალ საოპერაციო წლიდან პურის გაწერის გაუქმება, რომელიც გადაწყდა რეიხსტაგის 12 აპრილის სხდომაზე, ნიშნავს სერიოზულ გადახრას გერმანიის სასურსათო პოლიტიკაში. „რაზვიორსტკის“ და ფასების იძულებითი დაწესების გამო ჭვავის პური, რომელიც ურიგდებოდა ბარათებით ღარიბ მცხოვრებლებს, ჯდებოდა უფრო იაფი, ვინემ თავისუფალი ფასების მქონე პური. ამან გამოიწვია სასტიკი ოპოზიცია სასოფლო-სამეურნეო წრეების, რომლებიც ეწინააღმდეგებოდენ „რაზვიორსტკას“ და იძულებით ფასებს. აგრარული წრეების აზრით სასურსათო გადასახადი აფერხებს მიწად-მოქმედების განვითარებას. ამით აიხსნება ის, რომ რეიხსტაგმა საგაზაფხულო მუშაობის დაწყებისას დააჩქარა ამ „რაზვიორსტკის“ გაუქმება.

ამ რიგად ბურჟუაზიულმა პარტიებმა მიაღწიეს მეურნეობის სახელმწიფოებრივი წესების უკანასკნელ ნაშთებს. „რაზვიორსტკის“ გაუქმების გამო პურის ფასებს დაეტყობა ისეთივე სასტიკი რყევა, რომელიც ემჩნევა სხვა ფასებს და სავალიუტო ოპერაციაში ახალი გართულების შემთხვევაში პურის ფასების განუმტკიცებლობა მძიმედ დააწვება მშრომელ მოსახლეობას.

უკეთებს რა ანალიზს გერმანიის პურის იმპორტის პერსპექტივებს, ბერლინის გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატ“-ი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დროს რუსეთი კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს გერმანიისათვის ჭვავის მიწოდების საქმეში, ჭვავი მოდის როგორც ჩრდილოეთ რუსეთიდან, ისე სამხრეთის ნავთსადგურებიდან და მისი ხარისხი და თვისება დამაკმაყოფილებელია.

მიუხედავად მარკის სტაბილიზაციისა თვალსაჩინოა ფასების განუწყვეტელი ზრდა პიროტყვზე.

ფასების ზრდა მარკებში ერთ გირვანქაზე მიმდინარე წლის პირველ მეოთხედისათვის გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

თვეები.	მსხვილ ფეხა პიროტყვი.	ცხვრები.	ღორები.
იანვარი	250	200	500
თებერვ.	450	500	1200
მარტი	850	1200	2000

აპრილში ფასების ზრდა ყველა სახის პიროტყვზე გრძელდებოდა. ამ დროს, როდესაც ფასები პურზე და ხორცზე უფრო და უფრო იზრდება, სამრეწველო წრეები არა თუ არ ფიქრობენ სამუშაო ხელფასის გადიდებას, არამედ, პირიქით, მოითხოვენ მისი, როგორც სიძვირის მიზეზის, შემცირებას. მაგრამ ინდექსების და სამუშაო ხელფასის შედარებითი ნუსხიდან სჩანს, რომ თებერვლის განმავლობაში სამუშაო ხელფასი საგრძნობლად ჩამორჩა არსებულ ფასებს და მაშასადამე არა სამუშაო ხელფასის ზრდა იწვევდა სიძვირეს, არამედ, პირიქით, სიძვირე იწვევდა სამუშაო ხელფასის ზრდას, რომელიც საგრძნობლად ჩამორჩა ბაზრის ხელფასის ზრდას.

ამიერ კავკასიის ცხოვრება

სომხეთი

კოოპერატიული ყრილობა

ერევანი. 13 მაისი. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლუკაშინი გამოდის სრულიად სომხეთის კოოპერატიულ ყრილობაზე ვრცელი მოხსენებით, რომელშიაც ეხება საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ სიტუაციას. შეეხო რა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას, ამხ. ლუკაშინმა ხაზი გაუსვა კერძოდ იმ როლს, რომელიც უნდა ითამაშოს სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა. ამხ. ლუკაშინის მოხსენების გამო მიღებულია სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, მიღებულია მთელი რიგი რეზოლიუციებისა სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის მუშაობის შესახებ. არჩეულია სომხეთის კოოპერატივთა კავშირის ახალი გამგეობა 5 პირისაგან. აგრეთვე სარევიზიო კომისია და დელეგატები სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ყრილობისათვის, რომლის შემდეგაც ყრილობა დაიხურა.

სომხეთის პროფკავშირთა კონფერენცია

ერევანი. 13 მაისი. მუშათა კლუბის შენობაში გაიხსნა სომხეთის პროფკავშირთა კონფერენცია. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოს წევრმა, რომელმაც თავის სიტყვაში მიუთითა იმ გზაზე, რომელიც განვლო პროფკავშირმა უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში მისი, როგორც მშრომელთა კლასობრივი ორგანიზაციის მუშაობის განვითარების მხრივ. კონფერენციის მიზანია, განაცხადა მომხსენებელმა, ახალი გზების გამოძებნა პროფკავშირების მომავალი მუშაობისათვის. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლის ამხ. იზმაილოვის სიტყვის შემდეგ, კონფერენცია გადადის მორიგ საკითხებზე: არჩეულია პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია. მიღებულია დღის წესრიგი.

მოისმინეს ორი მოხსენება: პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის, ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულის, მოხსენებები საორგანიზაციო სატარიფო და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის საკითხების შესახებ. არჩეულ იქნა დელეგატები პროფკავშირების ამიერ-კავკასიის კონფერენციისათვის. ვრცელი მოხსენებით პროფკავშირთა პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. გასპარიანი.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 18 მაისს

მთლიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმულ იქნას საკითხი „რ. კ. პ. მე-XII ყრილობის რეზოლიუციების გარჩევა“.

მასალის მიღება შეიძლება თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რუბენი.

პარტიული მუშაობა ახალციხის მაზრაში აპრილში.

ორგანიზაციული მუშაობა. უმთავრესი ორგანიზაციული ცვლილება საანგარიშო თვეში არის ის, რომ ქალაქის ერთად ერთი კომუჯრედი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის ორგანიზაციის ყველა წევრების მოთხოვნილებას უჯრედებში რაციონალურად განაწილება-მოწყობა-გამოყენების მხრით, იქნა გადაკეთებული 4 უჯრედათ, №№ 1, 2, 3, და 4, რო-

აჭარაში

(საუბარი აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თამხსინ ხიმშიაშვილთან).

ამ ჟამად აჭარაში სწარმოებს მუშაობა მიწის, კულტურულ, ეკონომიურ და საბჭოთა მშენებლობის ფრონტებზე.

მიწის რეფორმა.

მიწის საკითხის მნიშვნელობა.

მიწის რეფორმის საკითხს აჭარაში ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი ადგილი უჭირავს დღის წესრიგში მდგომ საკითხებს შორის.

საზოგადო მფლობელობაში მყოფ მიწების სივრცე აჭარაში მეტად მცირეა და ისინი მდებარეობენ მთიან ადგილებში. ხშირათ გლეხს, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხოს და დაამუშავოს მთის ფერდობზე მდებარე მიწის ნაჭერი ბაწრით უხდება თავის თავის მიბმა ხეზე. კარგი და ნაყოფიერი მიწები კი ფეოდალების ხელშია.

ამის გამო უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ხდებოდა გაძლიერებული ემიგრაცია ოსმალეთში, სადაც გადასახლდა რამდენიმე ათეული ათასი სული. ეს ემიგრაცია გამოწვეულია ეკონომიური პირობებით—მიწის ნაკლებობით. ამ სამტკიცებს აგრეთვე გადასახლება კიდევ ორი სხვა მიმართულებით—არტაანისკენ და გურიაში. გურიაში არის 3 სოფელი, აჭარლებით დასახლებული, აჭარის მცხოვრებთა საერთო რიცხვიდან (150.000 სული), მხოლოდ 20 პროც.-ია უზრუნველყოფილი აუცილებელი მინიმუმით, დანარჩენ 80 პროც. ნაწილობრივ ან სულ არა აქვს მიწა ან ძლიერ ცოტა. მეტად ხშირია დავა მიწის შესახებ სასამართლოებში და აღმასკომებში აღძრულ საკითხების 95 პროც. მიწაზე დავის გამო არის გამოწვეული.

მემამულეებს ჩამოერთვა მიწები.

1923 წლამდი მიწის რეფორმა — მიწის მემამულეებისაგან ჩამორთმევის და გლეხობისათვის გადაცემის მნიშვნელობით—ქაღალდზე იყო დარჩენილი. მიწის რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგენ 1923 წ. პირველი თვეების განმავლობაში ჩამორთმეულ იქნა 7 ათასი დესეტინა მიწა, ამათგან 2 ათასი დესეტინა ტყე, 3 ათასი დესეტინა საძოვარი ადგილები მთებზე და 2 ათასი დესეტინა სახნავ-სათესი მიწა.

ამას გარდა ბათომ-ქობულეთის ხაზზე ჩამორთმეული იქნა 175 კულტურული აგარაკი, თითეული 5 დესეტინა საშუალოდ, სულ 875 დესეტინა. ამ აგარაკებზე გავრცელებულია შემდეგი კულტურები: ჩაისა, მანდარინისა, ფორთოხლისა, ბამბუკისა და სხვა ძვირფას ხეებისა და მცენარეებისა. ეს მიწები გადაეცა მიწადმოქმედების კომისარიატს, რომელიც თანდათანობით გააფართოებს კულტურული დამუშავების სივრცეს.

გარდა ამისა, ბათომიდან ორი ვერსის მანძილზე ჩამორთმეულ იქნა 2 ათასი მეტად მაღალი ღირსების მიწა, სადაც განზრახულია ჩაისა და მანდარინის გაშენება.

ჩაის კულტურის სარგებლობა.

ჩაის პლანტაციებს ამ ჟამად უჭირავს 600 დესეტინა. ეს პლანტაციები, საქმის სუსტად დაყენების გამო იძლევიან 350 ათას გირვანქა ჩაის, საქმის სათანადოთ დაყენებით კი ეს რაოდენობა შეიძლება გადიდებული იქნეს 1.000 000 გირვანქამდი.

სულ ბათომ-ქობულეთის ხაზზე ჩაის კულტურას შეიძლება დაეთმოს 12 000 დესეტინა, რაც მოგვცემს 12 მილიონ გირვანქა ჩაის. მსოფლიო მოთხოვნილება ჩაიზე უდრის 25 მილიონ გირვანქას. ამ რიგად ჩვენს ჩაის პლანტაციებს შეუძლია დააკმაყოფილოს ჩაიზე მსოფლიო მოთხოვნილების თითქმის ნახევარი. რუსეთს ესაჭიროება სულ 5 მილიონი გირვანქა ჩაი, ამ რიგად ჩვენი ჩაი, დაფარავს რუსეთის მოთხოვნილებას და დაგვრჩება საზღვარ-გარეთ ექსპორტისათვის.

რაც შეეხება ბათომის ახლო მდებარე 2 ათას დესეტინას, დამოუკიდებლათ, საკუთარი ძალებით მისი დამუშავება ჩვენ ჩვენ არ შეგვიძლია საჭირო თანხების უქონლობის გამო. აღძრულია შუამდგომლობა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ჩაის მთავარ სამმართველოს წინაშე მოსკოვში საჭირო თანხების მოცემის შესახებ. თუ მოგვცემს 150 000 მ. ოქროთი, დამუშავებული იქნება 500 დესეტინა.

გლეხებსაც სურთ მიწის კულტურის გაუმჯობესება.

უკანასკნელ ხანებში გლეხებს ემჩნევა ლტოლვა მეურნეობის უფრო ძვირფას კულტურებზე გადასვლისაკენ. მათთვის ნათელი ხდება, რომ მათ განკარგულებაში მყოფ მიწის მცირე რაოდენობა მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებს მათ, როცა ის ნაყოფიერი იქნება, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაღალ კულტურაზე გადასვლით.

უკვე არის 10—12 ისეთი ადგილი, სადაც გლეხები გადავიდენ ჩაისა და მანდარინის კულტურაზე.

ამიტომ შეუძლებელია გლეხობისათვის მარტო მიწის გადაცემით დაკმაყოფილება, საჭიროა მათ მიეცეს მუშაობის იარაღიც, რომლითაც ისინი გააუმჯობესებენ მიწის დამუშავების წესებს, უნდა დავეხმაროთ მათ მეურნეობის კულტურის ამაღლებაში.

კულტურული მუშაობა

განათლება.

აჭარის კულტურული განვითარების ისტორიული პირობები და ყოფა-ცხოვრების თავისებურობა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ნაციონალისტური სკოლები ჯერ სარგებლობდენ გლეხების ნდობით და იქ ისინი არ აგზავნიდენ თავიანთ შვილებს. გლეხები მოითხოვენ მხოლოდ კულტურას.

ამიტომ აჭარაში განათლების საკითხის გადაჭრის დროს, პირველ ყოვლისა საჭირო იყო სკოლებში ოსმალებისა და მენშევიკების დროს შემოღებული ძველი სახელმძღვანელოებით სარგებლობის აღკრძალვა. აჭარელ გლეხისათვის უცხო იყო როგორც პანთურქიზმი ისე მენშევიკების ნაციონალ-შოვინისტური მისწრაფებები.

სწავლა სწარმოებს გასაბჭოების შემდეგ ქართულ ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოებით. ისინი სრულიად გამოსადეგი არიან ამ მიზნისათვის, მაგრამ მოითხოვენ მცირეოდენ შესწორებებს. სახელმძღვანელოებს ესაჭიროება შესწორება ისე, რომ ისინი შეეფერებოდენ მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრებას.

საჭიროა მომზადებული პედაგოგიური პერსონალის ყოლა, ამ მიზნით ივლის-აგვისტოში გვექნება პედაგოგიური კურსები, სექტემბერში კი ვხსნით სემინარიას.

ახლა გვაქვს 15 სკოლა, სულ კი უნდა გაიხსნას 45.

ბრძოლა სისხლის აღების ჩვეულებასთან.

კულტურულ ფრონტზე ბრძოლას ეკუთვნის აგრეთვე სისხლის აღების ჩვეულებასთან დაწყებული ბრძოლა. ამ ჟამად 200 გვარი მტრული დამოკიდებულია ერთი-მეორისადმი. სისხლის აღების შემთხვევას ხშირათ რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს.

გამოიცა სპეციალური დადგენილება სისხლის აღების ჩვეულების წინააღმდეგ. შედგენილია სპეციალური კომისიები—ცენტრში და ადგილობრივ. კომისიებმა უნდა გამოიკვლიოს სისხლის მტრობის მიზეზები და მიიღოს ზომები გადამტერებულთა შესარიგებლად. 15 ივნისამდი იმედია, სისხლის აღების ჩვეულება მოისპობა.

რაც შეეხება შურისძიებაში დამნაშავეებს ისინი უნდა გადაეცენ სასამართლოს, ამ შემთხვევაში დაწესებულია პასუხისმგებლობის ერთგვარი გრადაცია: 1) იმათ, ვინც მკვლელობა ჩაიდინა გასაბჭოებამდი, შესაძლოა სასჯელი შეუმსუბუქდეს, 2) იმათ, ვინც დანაშაული ჩაიდინა გასაბჭოების შემდეგ, არავითარი შემსუბუქება არ მიეცემათ და 3) ისინი, ვინც შურისძიებას მიმართავს სათანადო კანონის გამოცემის შემდეგ გადაეცემა საგანგებო კომისიას ან რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

ეკონომიური მშენებლობა

ზემოთ უკვე აღნიშნულ მიწით სარგებლობის წესების გასაუმჯობესებლად მიღებულ ზომებს გარდა, სწარმოებს მუშაობა აჭარაში გზების გასაყვანათ, რასაც აჭარის ადგილ-მდებარეობის პირობებში მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება ეკონომიური კეთილდღეობის ასამაღლებლად. ამ ჟამად გაყავთ 8 ახალი გზა, რომლებიც დამთავრებული იქნება ორი თვის განმავლობაში. სწარმოებს შეკეთება 3 ძველი გზის, კეთდება 3 ახალი ხიდი და 8 კი შევაკეთეთ. ქობულეთის ხიდი უკვე შეკეთებულია.

აჭარის წყალზე შენდება ელექტროსადგური 20,000 ცხენის ძალის. ამ ელექტრო-სადგურის ენერგია ეყოფა მთელ აჭარას. ჩვენ არ მოგვეპოვება თანხები, მაგრამ გვეხმარება ცენტრი, რომელიც გვაძლევს 150,000 მანეთს ოქროთი.

მიღებულია ზომები აჭარაში კოოპერაციის განსავითარებლად. ჯერჯერობით გახსნილია კოოპერატივები სამაზრო ცენტრებში, მომავალში კი გაიხსნება ყველა 17 თემში.

საბჭოთა მშენებლობა.

საბჭოთა აპარატი.

უნდა ითქვას, რომ აჭარაში ადგილი ქონდა საერთო მოვლენას—აპარატების გადიდებას, მაგრამ შემცირების და გაწმენდის საშუალებით აპარატი 1400 კაცამდი შევამცირეთ და უფრო კლასიკური გავხადეთ.

სასამართლოს ხალხთან დასაახლოვებლათ გავხსენით სამი სახალხო სასამართლო შემდეგ პუნქტებში: ხულოში, ქედაში და ქობულეთში.

ყველა სამაზრო ცენტრებში არის საავადმყოფოები, თემებში კი საფერშლო პუნქტები და აფთიაქები.

ბიუჯეტი.

ბიუჯეტის გასავლის ნაწილი ა—წ. პირველ მეოთხედში უდრიდა 584856 ოქროს მანეთს, გაღებული იქნა კი 188 905 მანეთი, რაც უდრის 94 მილიარდ მანეთს, მიღებულია კი—72 მილიარდი. აპრილ-ივნისის მეოთხედიც დაახლოვებით ხარჯების ასეთ სურათს მოგვცემს.

სასურსათო გადასახადი.

სასურსათო გადასახადის შეკრება კარგათ ჩატარდა. შეკრებილია 100 პროც.

ქალთა მოძრაობა.

ძველი მდგომარეობიდან გამოვიდა ქალიც. საბჭოთა წყობილებამ თავისი გავლენა მოახდინა ქალზეც და ის თანდათან თავისუფლდება. 8 მარტს დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებდა 50 დელეგატი მუსლიმანი ქალი.

დღის წესრიგში დასმულია ქალების კომიტეტების მოწყობა.

ბანდიტიზმი არ ყოფილა.

აჭარაში სრულიად არ ყოფილა ბანდიტიზმი. გურიიდან ბანდიტების ბრბოების შემოჭრის თავიდან ასაცილებლად მცხოვრებლებმა მოხალისეებიდან მოაწყვეს 13 სადარაჯო პუნქტი.

ლტოლვილების საკითხი.

ახლა არის 9000-დე სხვა და სხვა ეროვნების ლტოლვილი. თანდათანობით ამ საკითხის სიმწვავე ნელდება. უკვე გაიგზავნა ოსმალო ლტოლვილთა პირველი პარტია.

დასკვნა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სავსებით შეუძლია დაეყრდნოს აჭარის გლეხობას, რადგან უკანასკნელთა სიმპატიები სავსებით მის მხარეზეა.

როგორც ჩატარებული მუშაობის შედეგი ჩვენ გვაქვს განხორციელება კავშირისა ქალაქსა და სოფელს შორის. აჭარის გლეხში თანდათანობით იღვიძებს და ძლიერდება ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო სარაჯიშვილი

(მისი ოცი წლის არტისტიულ მოღვაწეობის იუბილეს გამო).

თბილისის მთელი მუსიკალური საზოგადოება და მასთან ერთად მე, ვფიქრობ, მთელი საქართველოც ოთხშაბათს, 16 მაისს დღესასწაულობს მუსიკალურ ხელოვნების (კერძოდ საოპერო) ერთ საუკეთესო წარმომადგენლის—ივანე პეტრესძე სარაჯიშვილის არტისტიულ მოღვაწეობის იუბილეს.

საჭიროა კი ამ მსახიობის პოპულიარობაზე ლაპარაკი, რომელიც დამამშვენებელია სახელმწიფო საოპერო სცენის. ვინ არ იცნობს საქართველოში ვანო სარაჯიშვილს, ვის არ მოუსმენია ის ოპერაში თუ კონცერტებში, ვისთვის არ მოუტანია მას სიხარული თავისი მშვენიერი ნიჭით.

ვანო სარაჯიშვილს მე ვიცნობ დიდი ხანია, მისი არტისტიულ კარიერის დასაწყისიდან. დიდი ხანია მას შემდეგ? თითქმის ოცი წელიწადი და ასე მგონია, რომ ეს თითქოს გუშინ იყო.

თბილისის მუსიკალურ წრეებში ალაპარაკდენ ახალ ამომავალ საოპერო მნათობზე, და ეს ნიჭიერი მსახიობი იყო ვანო სარაჯიშვილი წინათ თბილისის მუსიკალურ სასწავლებლის ვიოლონჩელის კლასის მოწაფეთ მყოფი. როგორი მეტამარფოზა მოხდა, როდესაც ინსტრუმენტალურ კლასის გუშინდელი მოწაფე მომღერლათ გადაიქცა და ისიც ისეთად, რომელზედაც ლაპარაკობდენ როგორც ოპერის ამომავალ ვარსკვლავზე და რომელსაც თბილისის სახაზინო ოპერის სცენაზე მიცემული ჰქონდა დებიუტი, სადაც დებიუტის მიღება საერთოდ ძალიან ძნელი იყო და კერძოდ, მით უმეტეს ახალგაზრდა ადგილობრივ, მუსიკალურ სფეროში ყველასათვის უცნობ მომღერლისთვის. გამოცხადებული იყო ვერდის ოპერა რიგოლეტო სარაჯიშვილის მონაწილეობით ჰერცოგ მონტუანელის პარტიაში. დავინტერესდი, ავიღე ბილეთი და გავეშურე ოპერაზე. როგორც ეხლა, ისე მახსოვს ხალხით გაუვსებელი თეატრი. ოპერა იწყება. აი სცენაზე მშვენიერი ყრმა, რომელიც, როგორც სჩანს, ვერ იცნობს კარგათ თეატრის სცენარიუმს... აი ამ ყრმამ დაიწყო სიმღერა! დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა და უეცრივ ჰერცოგის პირველი არიის შემდეგ მღელვარე ერთსულოვანი ტაში. მომღერალმა მოაჯადოვა აუდიტორია თავისი ხმის ხავერდოვანი ტემბრით და მუსიკალობით,—მას სრულებით არ ამტყუნებდენ სცენიურ ხერხების უცოდინარობაში. შემდეგი დებიუტი სავსე დარბაზს იზიდავს, სარაჯიშვილის სახელი უკვე ინტერესს იწვევს.

დებიუტების შემდეგ სარაჯიშვილი მიდის თბილისიდან. ორი წლის განმავლობაში ზედიზედ მღერის პეტერბურგში წერეთლის და შემდეგ გვიდის ანტრეპრიზაში. თბილისამდე აღწევენ ახალგაზრდა მსახიობის გამარჯვების ამბები. ამის შემდეგ სარაჯიშვილი მიემგზავრება საზღვარ-გარეთ მუსიკალურ განათლების დასამთავრებლად და იქიდან კი ერთი თუ ორი წლის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და შემდეგ მისი კარიერა თბილისში მიმდინარეობს,—ეს პერიოდი დაცემის პერიოდია—გულის ტკივილით უნდა ავღნიშნო, რომ ახალგაზრდა მომღერლის ასე მკაფიოდ გამონათებულმა ნიჭმა დაქვნობა დაიწყო.

მე ხშირათ ვხვდებოდი სარაჯიშვილს და ყოველთვის უკიჟინებდი მას, რომ ის არ უვლის თავის ნიჭს, რომ ის ზარმაცობს და არა სერიოზულად ეკიდება თავის მოღვაწეობას. ვანო სარაჯიშვილი უარყოფდა ამას, მაგრამ საუბედუროდ ფაქტები სხვას ამბობდნენ. სარაჯიშვილის გამოსვლები ოპერის სცენაზე შეუმჩნევლად მიდის. დროგამოშვებით ის გამოდიოდა კონცერტებზე და აქ უფრო გამარჯვებული რჩებოდა, მაგრამ ნამდვილი ნიჭი როცა იქნება, მაინც თავს გამოიჩენს. მე მახსოვს რიმსკი-კორსაკოვის „სნეგუროჩკას" დადგმა, სადაც სარაჯიშვილს მინდობილი ჰქონდა მითიურ მეფე ბერენძეის პარტია—ლირიულ ტონებში დაწერილი და მშვენიერი მელოდიური არია. სარაჯიშვილის გამარჯვება ამ პარტიაში ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა. სარაჯიშვილმა თითქოს მონახა მისი თავი და მისი ხმა ლირიული და მელოდიური თავისუფლად მომდინარეობდა. მაგრამ დრო მიდიოდა და სარაჯიშვილი ჩვეულებრივი საოპერო მსახიობის მდგომარეობის იქით ვერ მიდიოდა, შემჩნეული იყო ისეთივე პასიური მოპყრობა შესრულებისადმი. „ნუ თუ დაიღუპება მომღერალი" ვფიქრობდი მე და ყველა ის, ვინც სცნობდა სარაჯიშვილში ნამდვილი ნიჭის ნაპერწკალს.

საბედნიეროდ ჩვენი შიში არ გამართლდა. ნაცარის ზედაპირის ქვეშ იმალებოდა ხელოვნების მხურვალე ცეცხლი და საჭირო იყო რაიმე გარეშე იმპულსი, რომ ცეცხლი ანთებულიყო,—და ასეთ იმპულსათ, ალბათ, მოევლინა მას რევოლიუცია. სარაჯიშვილმა ბოლოს გაგვიხსნა თავისი Credo. მე ვირწმუნე სასწაული სცენაზე. გამოჩნდა უკვე არა ორდინარული საოპერო მსახიობი, არამედ გამოჩნდა ის სარაჯიშვილი, რომელიც ანხორციელებდა იმ იმედებს, რომელიც მასში იყო საოპერო კარიერის დაწყების დროს. მე არ მჯეროდა, რომ სცენაზე ჩვენი ძვირფასი ვანო სარაჯიშვილია და როგორ პარტიებს ასრულებდა ის! ეს უკვე ლირიული ტენორი კი არ არის, ის ეხლა Mezzo caraifere, თითქმის დრამატიული. სიმღერაში ძველი მოჯადოებული სილამაზე, შესრულების მუსიკალობა განსაკუთრებულია, ხმა თავისუფლად რაკრაკებს, პარტიების სცენიური განსახიერება დამთავრებულია, ხანდახან ის იტაცებს მსმენელს და მაყურებელს სცენიური გადმოცემის სისწორით და დამთავრებულ ვოკალურ შესრულებით. გგონია, რომ დროს არავითარი დაღი არ დაუმჩნევია ხმისათვის, ისე დასრულებულათ შეუძლია მსახიობს ტეხნიკურათ თავისი ხმის მოხმარა. ერთი სიტყვით ის ნამდვილი მომღერალია, რომელიც გვაძლევდა და გვაძლევს ამდენ სიხარულს და რომელიც ასე სერიოზულად ეკიდება ხელოვნებას და მთელი თავისი იარაღით გამოდის თვითეულ პარტიაში. ეს ის სარაჯიშვილია, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და ვუსმენთ ეხლა. რეპერტუარი გაფართოვდა—ის მღერის რაულის პარტიას გუგენოტებში, ხოზეს—კარმენში, გერმანს—პიკის ქალში, აბესალომს და სხვა.

შექმნილია დამთავრებულ ლირიულ სიმღერის საკუთარი სტილი, სადაც სცენა უერთდება ვოკალურ შესრულებას,—სადაც არ არის მსახიობი, არის მხოლოდ ის პიროვნება, რომელსაც სარაჯიშვილი ანსახიერებს ამა თუ იმ ოპერა-კონცერტებში. კამერულ მუსიკის ნაწარმოებების გადმოცემაში სარაჯიშვილს მოცილე არა ჰყავს. ერთი სიტყვით ბრწყინვალე და ბედნიერი მეტამორფოზაა. რა თქმა უნდა ყველა ჩვენგანი სიხარულით ვდღესასწაულებთ ჩვენი საყვარელი მსახიობის იუბილეს და წმინდა გულით ვეტყვით მას: გაუმარჯოს ვანო სარაჯიშვილს, მრავალ ჟამიერ.

მუსიკოსი.

მელნიც მოთავსებული არიან მაზრის უმთავრეს და ცენტრალურ დაწესებულებებთან. იქვსი უჯრედი მოწყობილია რაიონებში. ყველა მდივნებს დაეგზავნა ინსტრუქციები, ანგარიშების წარმოსადგენი ფორმები და სხვა და სხვა დარიგებები ანგარიშების თავის დროზე წარმოსადგენად, ოქმების ასლების და სხვ. უჯრედებში წევრების განაწილება მოხდა სამაზრო პარტკომის საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელობით და ისე რაციონალურათ, რომ ყველა უჯრედებში წევრებად შედიან როგორც კარგი მომზადებული ამხანაგები, აგრეთვე სუსტათ მომზადებული თუ სრულიად მოუმზადებელიც. ამ გზით საორგანიზაციო განყოფილება ფიქრობს მოამზადოს ორგანიზაციაში სისტემატიური, გეგმა შეწონილი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო უცილებელი ნიადაგი. აპრილის თვეში მაზრაში იყო ცეკას ინსტრუქტორი, რომელმაც პარტკომს მიუთითა ყველა იმ დეფექტებზე, რომელსაც ჰქონდა ადგილი ორგანიზაციაში და იმ ღონისძიებებზე, რომლების საშუალებით შეიძლება ამ დეფექტების გამოსწორება. ცეკას ინსტრუქტორის ასეთ დარიგებამ მოიტანა დადებითი შედეგები ყველა დარგებში როგორც მაგ. კოოპერაცია, საბჭოთა აღმშენებლობაში პროფმუშაობაში, სახალხო განათლების დარგში და სხვა. ამნაირათ მუშაობა თანდათან ცხოველდება.

ამ თვეში პარტკომის აღმრიცხ სტატისტიკური ქვეგანყოფილების გამგე მივლინებულ იქმნა ცეკას საალრიცხველო ქვე-განყოფილებაში სათანადო დარიგების მისაღებად და მუშაობის განსაკუთრებულ მომენტებთან ახლო გასაცნობად.

(გაგრძელება იქნება)

პროფკავშირებში

გემო-კვების კავშირში.

მუშების გაგზავნა აგარაკებზე,

კავშირს თავის წევრთათვის მცხეთაში დაეთმო 215 ადგილი. ამათში 120 ადგილი მიეცემა თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთ და 95 კვების დაწესებულებების მუშაკთ. მუშების გაგზავნა დაიწყება 17 მაისიდან.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში.

ჟურნალის გამოცემა.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა გამოსცეს ქართულ ენაზე ჟურნალი და ამის განსახორციელებლად სესხის სახით სთხოვოს პროფკავშირთა საბჭოს 150 მან. ოქროთი.

ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება.

დამტკიცებულ იქნა კულტკომისიის და რუსთაველის თეატრის ხარჯთაღრიცხვა.

მუშაობის გაძლიერება პროვინციებში.

პროვინციებში მუშაობის გაძლიერების მიზნით გაიგზავნა პრეზიდიუმის წევრები, რომელთაც დავალება აქვთ გააცნონ ადგილობრივი კავშირები ცენტრის მუშაობას და მისცეს ინსტრუქციები.

გაზეთი ადგილკომებისათვის.

კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, ყველა ადგილკომებს უნდა მიეცეს გაზეთები.

პროფტეხნიკური კურსები.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, მუშავდება პროფტეხნიკური კურსების ორგანიზაციის პროექტი თეატრის მუშების მოსამზადებლად.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტების კომიტეტში.

საქონლის მიცემა.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტების კომიტეტის გამგეობამ დაადგინა მისცეს საქონელი სახელმწიფო დაწესებულებებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს იმ პირობით, თუ ხელშეკრულებებში განსაზღვრული იქნება გარანტიები.

ვალიუტის საკითხი.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტების კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ნება მიეცეს მას თავისუფლად აწარმოოს სავალიუტო ოპერაციები ზარალისაგან თავის დასაცავად ვალიუტის კურსის თანამედროვე მერყეობის დროს.

საქონლის ფონდი.

გამგეობამ დაადგინა გამორკვეულ იქნეს სომხეთის მიერ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის საშუალებით 300 000 ფ. პურის მიღების პირობები და ეთხოვოს დაუთმოს ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტების კომიტეტს ფონდისათვის 100.000 ფუთი პური აღნიშნულ რაოდენობიდან.

სახალხო-მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

ტყიბულ-შროშის წარმოების გამგეობის გაუქმება.

ტყიბულ-შროშის წარმოების გამგეობის გაუქმების გამო, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა გამგეობას სამი დღის განმავლობაში ჩააბაროს საქმეები კუთვნილებისამებრ სამთომადნო განყოფილებას, სათბობ მასალის განყოფილებას და ტყიბულის მაღაროების სამმართველოს. ტყიბულის მაღაროები კომერციულ და წარმოების მხრივ დაქვემდებარებულია სათბობ მასალის განყოფილებასთან.

სამთომადნო განყოფილებაში.

მოქ. კობაიძეს ნებართვა მიეცა აშენოს სიღნაღის მაზრის სოფ. არხილოს-კალოში ნავთის ქარხანა. ქარხნის მთელი ნაწარმოები ხელშეკრულების საფუძვლებზე ბარდება სათბობ მასალის განყოფილებას რეალიზაციისათვის.

ჩათახის ქარხნის საზეიმო გახსნისათვის

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მაისის 20, დღის 12 საათზე დანიშნულია ჩათახის თუჯის სადნობ ქარხნის საზეიმო გახსნა. ის პირნი და ორგანოები, რომელთაც სურთ დაესწრონ ამ ზეიმს და მოიპოვებათ გადასაზიდი საშუალებანი, თბილისიდან ჩათახში უნდა გაემგზავრნენ მაისის 20, არა უგვიანეს დილის 4 საათისა, ვინაიდან მანძილი დიდია (73 ვერსი) და გზა ცუდ მდგომარეობაშია მგზავრებმა თავი უნდა მოიყარონ სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს სახლთან (პუშკინის ქუჩა № 3), გზის მიმართულების გასაცნობად.

ჩათახში ჩამოსულ ამხანაგებს ჯგუფად უჩვენებენ ყველა საქარხნო შენობებს, მოწყობილობას და მაღაროებს; იქვე მისცემენ საჭირო ახსნა-განმარტებას. ნაჩვენები იქნება აგრეთვე ბრძმედიდან დამდნარ თუჯის გამოსვლა. შემდეგ გაიმართება მიტინგი; დასასრულ—საუზმე

საჭირო ცნობების მისაღებად მსურველთ უნდა მიმართონ ამხ. ვასო არეშიძეს (ტელეფ. № 8—24), ნიკო კიკნაძეს (ტელეფ. № 8—39) და ბენო კალანდაძეს. (მეორე საქალაქთაშორისო ტელეფონი—ჩათახი).

თუ მაისის 20 ცუდი ამინდი იქნა, ზეიმი გადაიდება—დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სასურსათო კომისარიატის მუშა-მოსამსახურენი

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის, ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომ. საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს და ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის თანამშრომელთა საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო 130 კაცი, მოისმინა ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება ინგლისის ულტიმატუმის შესახებ და ერთხმად დაადგინა:

„დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ინგლისის სახით კიდევ ერთხელ ამჟღავნებს თავის ნამდვილ სახეს მთელის ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე და ამტკიცებს თავის შეურიგებელ მტრობას ერთად-ერთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მიმართ და ლამობს გაანადგუროს მუშურ-გლეხური ხელისუფლება; დასავლეთის ბურჟუაზიას არ შეუძლიან გულდამშვიდებით უცქიროს, თუ როგორ იზრდება და ფართოვდება მთელს მსოფლიოში ძლიერება და გავლენა კომუნისტური პარტიისა, რომელიც საფრთხეს უმზადებს მათს არსებობას. დასავლეთ ბურჟუაზიის სასწრაფო მზადებაზე, რომელსაც სურს მუშათა კლასი ჩაითრიოს ახალ სასაკლაოში—პროლეტარიატი უპასუხებს ერთსულოვან და ენერგიულ პროტესტით და დაუპირდაპირებს მას თავის შეკავშირებას და სურვილს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს მსოფლიო კაპიტალს.

საბჭოთა ფედერაცია მშვიდობიანობას ეძებს, მაგრამ თუ მას ომში ჩაითრევენ, ის მზად დახვდება ყველაფერს.

ძირს მსოფლიო ბურჟუაზია!

ძირს ბურჟუაზიის დამქაშები!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს!"

კოოპერაცია.

ცეკავშირის ბიუროს რეზოლუცია ცეკავშირის გამგეობის მოხსენებაზე.

მოისმინა რა ცეკავშირის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება, საკავშირო ბიურო აღნიშნავს:

1) თავისი მოქმედების ხუთი თვის განმავლობაში გამგეობამ დიდ შედეგებს მიაღწია ყოველ დარგში, კოოპერაციის მოდუნებულ და თითქმის სრულიად შეჩერებულ საქმიანობის გამოსაცოცხლებლად: მან საგრძნობლად გააცხოველა სავაჭრო ოპერაციები, საღ, კომერციულ ნიადაგზე დააყენა საწარმოვო წამოწყებანი და სწორად გადასჭრა მიმდინარე საორგანიზაციო საკითხები.

2) სახალხო კომისართა საბჭოს მიერ აღმოჩენილი მატერიალური და ზნეობრივი დახმარება შეიქნა გამოსავალი წერტილი მთელი კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის და ამას შეგნებულათ დაემყარა გამგეობა მთელ თავის მოქმედებაში. მან სავსებით მიზანშეწონილათ მოიხმარა მთავრობის მიერ სესხად მიცემული 90.000 მან. ოქროთი, გასწმინდა რა აუცილებლად გადასახდელი ძველი გამგეობიდან დარჩენილი ვალები და დააბანდა რა მისი უდიდესი ნაწილი ნაყოფიერ საწარმოვო და სავაჭრო საქმეებში.

3) გამგეობამ აღადგინა მანამდი შეწყვეტილი საქმიანი კავშირის სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და მჭიდროთ დაუკავშირდა რუსეთის კოოპერაციის ცენტრს, რაიც პრაქტიკულად გამოიხატა მასში, რომ ცენტროსოიუზმა და რუსეთის კოოპერატიულმა ბანკმა საკმაო კრედიტი გაუხსნა ცეკავშირს და უკანასკნელმა კი გააგზავნა რუსეთში მთელი მარშრუტი ადგილობრივი ნაწარმოებისა. ამ ხაზით მუშაობა შემდეგში უფრო მეტ დადებით შედეგებს უქადის კოოპერაციას.

4) გამგეობამ სწორი ხაზი აიღო ადგილობრივი ნაწარმოების საქმეში, როდესაც მას პრინციპად დაუდო მისი მიწოდება შორეულ ბაზარზე და თავისი მცირედი საორგანიზაციო ხარჯების დაფარვის შემდეგ მთელი მოგების დაბრუნება მწარმოებელთათვის. მხოლოთ ამ გზით შეიძლება გლეხობის მასთან დაკავშირება და საღი კოოპერატიული საქმიანობის წარმოება.

5) გამგეობა მთელ თავის სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდა მხოლოთ კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით და არ მიმართავდა კერძო ბაზარს მაშინაც კი, როდესაც იგი გასაღების კრიზისს განიცდიდა, და კოოპერატივები ვერ ნთქავდენ ცენტრში დაგროვილ საქონელს. ბიურო სასტიკათ გმობს მოკავშირე კოოპერატივების ისეთ პრაქტიკას, როდესაც ისინი გვერდს უვლიან თავის ცენტრს, საქონლის შესაძენათ მიდიან კერძო ბაზარზე და მხოლოთ უკანასკნელ რიგში მიმართავენ ცეკავშირის გამგეობას საქონლის ნისიათ წასაღებათ. ბიურო აღნიშნავს, რომ თუ კერძო ბაზარზე მოიპოვება შედარებით იაფათ საქონელი, ეს სავსებით აიხსნება როგორც კოოპერატიული აპარატის მოუწყობლობით, ისე სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებთან შესაფერი მჭიდრო კონტაქტის უქონლობით. სახელმწიფო ორგანოები მიტომ ასაღებენ თავისი ნაწარმოების ნაწილს კერძო ბაზარზე, რომ ხანგამოშვებით განიცდიან ფულის კრიზისს, და კოოპერატივები ვერ აწვდიან მათ ამ დროს შესაფერ ეკვივალენტს. საჭიროა კოოპერაციამ შეიგნოს, რომ ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს და ამისათვის საჭიროა მტკიცე და დაურღვეველი კავშირი კოოპერატიულ ორგანიზაციებისა ერთმანეთ შორის და სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებთან.

6) ბიურო აღტაცებით აღნიშნავს, რომ გამგეობამ გადაუწყვეტია საკუთარი ჰაეროპლანის შეძენა ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებთან, როგორიც არიან საქართველოს კომპარტიის ცეკა და საქ. პროფკავშირთა საბჭო. ბიურო სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ ეს იდეა მოკლე ხანში იქნება განხორციელებული.

7) ბიურო აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას მრავალი ხელშემწყობი პირობები აძლევს მისი ელექტროფიკაციისათვის. ბიურო ადგენს დაინიშნოს სამი პრემია იმ კოოპერატივებისათვის; რომელნიც თავის რაიონში მოაწყობენ ჰიდრო-ელექტრონის სადგურს მთელი სოფლის გასანათებლად.

ამის პირობები შეიმუშავოს გამგეობამ, ხოლო დაწესდეს პრემია: 1) 1000 მან., 2) 700 მან., 3) 500 მან.

ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეულისათვის

(თეზისები).

ომში დასახიჩრებულთა ახლანდელი მდგომარეობა.

1. 1914—1917 წ. წ. იმპერიალისტურმა და სამი წლის სამოქალაქო ომმა საბჭოთა ხელისუფლებას მემკვიდრეობათ დაუტოვა დასახიჩრებულთა მრავალრიცხოვანი არმია, რომლის ნაწილი არა თუ მოკლებულია შრომის ყოველივე უნარს, არამედ საჭიროებს კერძო დახმარებას აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მეორე ნაწილის, იმის და მიხედვით—თუ როგორი ხასიათისაა დასახიჩრება, წაერთვა საშვალება ხელი მოეკიდა იმ პროფესიის ან ხელობისათვის, რომელსაც ომამდი მისდევდა და დარჩა მოკლებული არსებობის ყოველგვარ სახსარს.

2. სამი წლის სამოქალაქო ომმა და შემდეგ ამ ომის შედეგმა—ქვეყნის მძიმე სამეურნეო მდგომარეობამ, და ბოლოს ყველა მშრომელების ყურადღების სამეურნეო ფრონტისათვის მიპყრობის აუცილებლობამ,—ბუნებრივად დაჩრდილა ომში დასახიჩრებულთათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის საქმე და ამის გამო ისინი დარჩენ თავისი უძლურების ამარა.

3. დასახიჩრებულთა კოოპერატივები, მატერიალური დახმარების უქონლობის გამო, ვერ აფართოებდენ თავიანთ საქმიანობას და ამის გამო ვერ აერთიანებდენ ყველა დასახიჩრებულებს. დასახიჩრებულთათვის დანიშნული ინტერნატები, სახლები, სასადილოები და სამკურნალოები მძიმე მატერიალურ და სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიან დასახიჩრებულთა კლუბები, ბიბლიოთეკები უყურადღებოდ არის მიტოვებული. დასახიჩრებულთათვის პროტეზების გაკეთება თუმცა გრძელდება, მაგრამ არა საკმაო ფარგლებში. ასე მაგალითად არა ომის დასაწყისიდან 1922 წ. პროტეზი გაუკეთდა სულ 30.000-დი კაცს. დასახიჩრებულთა მეურნეობანი და ოჯახები სრულიად არ არიან უზრუნველყოფილნი.

4. ასეთი მდგომარეობის გამო ბევრი დასახიჩრებული იძულებულია მათხოვრობას მოკიდოს ხელი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ბევრმა მათგანმა წვრილმანით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ეს თანდათანობით იწვევს დასახიჩრებულებში, რომლის დიდი ნაწილი მშრომელ ელემენტებს ეკუთვნის და ჩვენი წითელი არმიის საუკეთესო ნაწილს შეადგენდა, კლასობრივი სულის გაქრობას.

II რა გაკეთდა ინვალიდებისათვის.

5. მიუხედავათ ამისა დასახიჩრებულთა დახმარების საქმე უკანასკნელ ხანებში დაიძრა მკვდარი წერტილიდან. სახელმწიფო უზრუნველყოფა ეხება შემდეგ ჯგუფებს: სოციალური უზრუნველყოფის სახკომის ინტერნატებში ცხოვრობს 50.000 კაცი, სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში სწავლობს 30.000 კაცი, უმაღლეს სასწავლებლებში და პროფ. შკოლებში სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის სტიპენდიით სწავლობს 3.000 დასახიჩრებულთა. ეს სამი ჯგუფი უზრუნველყოფილია სავსებით. სავსებით უზრუნველყოფილია აგრეთვე 40.000 დასახიჩრებული, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის კოოპერატივებში არიან გაერთიანებულნი. დასახიჩრებულთა დანარჩენი ნაწილი—500.000 კაცამდი—იღებს დახმარებას ნაწილობრივ არა საკმაო პენსიის და ნაწილობრივ ურთიერთ დახმარების სახით.

6. დასახიჩრებულთა დამხმარე ცენტრალური კომისია ფართე მუშაობას ანვითარებს და მასში აბამს პროფესიულ და საბჭოთა ორგანოებს. კომისია ატარებს მთელ რიგ ზომებს პროტეზიების დამზადების საქმის გასაუმჯობესებლად და დასახიჩრებულთა კოოპერაციის გასაფართოებლად და ასამაღლებლად; მიღებულია ზომები დასახიჩრებულთა კვების გასაუმჯობესებლად, მათი სახლების, თავშესაფარების, სასადილოების და სამკურნალოების შესაკეთებლად და მათზე შეფობის მისაღებად; საბჭოთა და პროფესიულმა ორგანოებმა ამ მხრივ მიიღოს ზომების მთელი რიგი; სწარმოებს ენერგიული მზადება დასახიჩრებულთა დახმარების კვირის ჩასატარებლად.

7. ამავე დროს დახმარების კომისიებმა ადგილობრივ უკანასკნელ ხანებში საგრძობლათ გააფართოვეს და გააძლიერეს თავისი საქმიანობა. ზოგიერთ გუბერნიებში, მაგალითად, ასტრახანის, მოსკოვის, პერმის, პეტროგრადის და დონის ოლქში დასახიჩრებულთა დახმარების საქმე საგრძნობათ გაფართოვდა. დასახიჩრებულთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია ტანისამოსით; მოეწყო შრომის არტელები; ლოტარეების, გადარიცხვის, შემოწირულებათა შეგროვებით და სხვა საშვალებებით შეკრებილია დიდი თანხები.

8. გაჭირვებულ დასახიჩრებულთა არსებობისათვის ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელი პირობების შესაქმნელათ საჭიროა ფართე დახმარება პროფესიულ ორგანიზაციების, საბჭოთა და პარტიულ ორგანოების მხრივ და, რაც უმთავრესია, ფართე საზოგადოებრივი აზრის მიპყრობა ინვალიდების დახმარების საქმისათვის

III რა უნდა გაკეთდეს.

დასახიჩრებულთა დახმარების საქმის ამოცანები ახლოვბელი პერიოდისათვის მდგომარეობს იმაში, რომ:

ა) საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიიპყროს ომში დასახიჩრებულთა დახმარების საქმემ; ამ საქმეში უნდა ჩაებას პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციები, ურთი-ერთ დახმარების კომიტეტები და მშრომელთა ფართე მასები;

ბ) ფართედ ჩაიბას დასახიჩრებულები შრომის პროცესებში, რისთვისაც უნდა მოეწყოს დიდი ტეხნიკუმები დასახიჩრებულთათვის, უნდა მოხდეს დასახიჩრებულთა დანარჩენი დაწესებულებების რეფორმა საარტელო საფუძველზე;

გ) ყოველგვარი დახმარება სოციალური უზრუნველყოფის კოოპერატივებს დასახიჩრებულთათვის;

დ) სათანადო დონეზე უნდა მოეწყოს პოლიტიკური და კულტურული მუშაობა დასახიჩრებულთა დახურულ დაწესებულებებში და სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციებში;

ე) დასახიჩრებულთა თავშესაფარები სათანადოდ უნდა მოეწყოს და უნდა გაუმჯობესდეს მათი მომარაგების საქმე;

ვ) გლეხების ურთი-ერთ დახმარების კომიტეტების ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს სოფლებში დასახიჩრებულთა და მათი ოჯახების დახმარების საქმეში.

10. დასახიჩრებულთა უზრუნველყოფის ხარჯების ადგილობრივ საშუალებებზე გადატანამ მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ისინი. საჭიროა საკითხის აღძვრა დასახიჩრებულთა შესანახ ხარჯების ცენტრალურ ბიუჯეტზე გადატანის შესახებ. საჭიროა დახმარების აპარატის გაძლიერება, როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ.

11. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ქალაქში უნდა ეყრდნობოდეს, პირველ რიგში, პროფესიულ აღზრდას და დასახიჩრებულების შრომის გაერთიანებათა მოწყობას. სოფელში, პირველ ყოვლისა საჭიროა, გლეხების ურთი-ერთ დახმარების კომიტეტების მუშაობის სათანადო დონემდი ამაღლება, მათი საშვალებით უნდა მოეწყოს ფართე, გეგმა-შეწონილი დახმარება.

12. უნდა გვახსოვდეს, რომ დასახიჩრებულთა ნაწილის შეჩვევა შრომისათვის კიდევ არ ნიშნავს, რომ დასახიჩრებულებს ეძლევათ შრომის საშუალება.

ამ ჟამად, უმუშევრობისა და შრომის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პირობებში, საჭიროა კამპანიის ჩატარება დასახიჩრებულებისათვის სამუშაოს მიცემის სასარგებლოთ. სახელმწიფომ დასახიჩრებულთა ორგანიზაციებს უნდა მისცეს ყოველგვარი შეღავათი: საგადასახადო, შენობების დაქირავებას და სხვა.

13. ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა გასატარებლად „ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირამდი" და თვით ამ „კვირის" განმავლობაში საჭიროა ფართე კამპანია როგორც პრესაში ისე მიტინგების, მოხსენებების და სათანადო ლიტერატურის გამოცემის საშვალებით.

14. დასახიჩრებულთა დახმარების საქმეს და მათ ჩაბმას შრომის პროცესებში, საბჭოთა სახელმწიფოსათვის აქვს არა მარტო პრაქტიკული, არამედ ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობაც. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიზრუნოთ იმ გმირებზე, რომლებმაც მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაცვას შესწირეს ყველაზე უძვირფასესი, რაც კი აქვს ადამიანს—შრომის უნარი. დასახიჩრებულთა სახით ჩვენ გვყავს ათეული ათასი მუშა და გლეხი, სამოქალაქო ომის ფრონტზე თავდადებული მებრძოლნი. რესპუბლიკამ თავისი ზრუნვით და ყურადღებით უნდა დაანახვოს მათ, რომ ისინი უაზრო ომის მსხვერპლნი კი არ არიან, არამედ დიდი მოვალეობის გმირები, რევოლიუციის სასახელოთ. ამას მნიშვნელობა აქვს მუშებისა და გლეხების ფართე მასებისათვის.

15. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასახიჩრებულთა დახმარებას წითელი არმიისათვის. დასახიჩრებულთა უზრუნველყოფისათვის მუშაობა ნიშნავს წითელი არმიის გამაგრებას, რადგან წითელ-არმიელი ვერ იქნება მედგარი მებრძოლი თუ არ დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც გაიწვია ის რევოლიუციის დამცველთა რიგებში, მიიღებს ყველა ზომებს მის და მისი ოჯახობის უზრუნველსაყოფად თუ დაასახიჩრეს. ამიტომ, არმიის პოლიტიკური და განსაკუთრებით სამეურნეო ორგანოების წინაშე სდგას ამოცანა ხელი შეუწყონ ომში დასახიჩრებულთა დახმარების კამპანიას და კერძოთ „დასახიჩრებულთა დახმარების კვირის" ჩატარებას.

16. „ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირა" უნდა ჩატარდეს არა მარტო ცარიელი აგიტაციის ნიშნის ქვეშ, არამედ უნდა ქონდეს ომის გმირების რეალური, კონკრეტიული დახმარების ხასიათი. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მშრომელებმა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოიღებს „დახმარების კვირა" სასურველ შედეგებს და შეიქმნება ომში დასახიჩრებულთა გეგმაშეწონილი დახმარების და უზრუნველყოფის დასაწყისი.

რესპუბ. პოლიტიკური სამმართველო.

ტფილისის პროლეტარიატის ხმა.

ქუჩებში.

გუშინ 15 მაისს, ტფილისის პროლეტარიატმა შესაფერისი პასუხი გასცა ინგლისის თავხედურ ნოტას და ამხ. ვოროვსკის ვერაგულად მოკვლას.

ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშაობა დღის ორი საათისთვის შეჩერებულ იქნა. მუშა-მოსამსახურენი წითელ დროშებით და პლაკატებით მოედვენ ტფილისის ქუჩებს. აქა იქ მოსჩანდა შავი პლაკატები წარწერით: „შეიძლება კომუნისტის მოკვლა, მაგრამ კომუნიზმის კი—არასოდეს. ზოგიერთ პლაკატზე შემდეგი წარწერა იყო: „რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ძალების დაუყოვნებლივი მობილიზაცია უნდა იყოს პასუხად ინგლისის ულტიმატუმზე".

თავისუფლების მოედანზე.

რუსთველის პროსპექტიდან პროცესია გაემართა ერევნის მოედნისაკენ, სადაც უნდა გახსნილიყო მიტინგი. მოედანი ვერ იტევდა მოზღვავებულ დემონსტრანტებს. და პირველ რიგში მხოლოდ მეოთხე რაიონს ეძლევა საშუალება უსმინოს ორატორებს.

მიტინგი

მიტინგს ხსნის ამხ. ივანოვ-კავკასკი.

პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. **მიხა ცხაკაიას.** „ამხანაგებო, 1917 წ. ამ ტრიბუნიდან,—ამბობს იგი,— ჩვენ ვააშკარავებდით იმპერიალისტების შავ საქმეებს და მოვითხოვდით ომის შეწყვეტას. ჩვენ მიზნებს მივაღწიეთ; ჩვენ შევქმენით უძლიერესი საბჭოთა ფედერაცია. ინგლისის და იმპერიალისტების მუქარას ჩვენ დაუპირისპირებთ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ ნებისყოფას. კომინტერნის დახმარებით, ჩვენ ღირსეულ პასუხს გავსცემთ ანტანტას. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას, გაუმარჯოს წითელ არმიას".

მეოთხე რაიკომის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. **ზერზერაშვილი,** რომელიც მუშების სახელით ფიცს სდებს, რომ მახვილით ხელში დავიცავთ მშრომელთა დიქტატურას.

შემდეგ ლაპარაკობს წითელ არმიელთა სახელით ამხ. **პოლიანსკი.** მისი ენერგიული მოწოდება წითელ არმიელებისა და მუშებისადმი—მედგრად დახვდენ მომავალ საფრთხეს—მხურვალე გამოძახილს იწვევს დემონსტრანტებში.

სიტყვებს ამბობენ შემდეგი წარმომადგენლები: ამხ. [illegible]—და მელითონეთა სახელით ამხ. **ლეინი.**

ამხ. **რუზენი** კითხულობს რეზოლიუციას. რომელიც ერთხმად მხურვალე ტაშით იქნა მიღებული.

მეოთხე რაიონის მუშა მოსამსახურეთათვის მიტინგი დასრულებულია. მათ ადგილს იჭერს პირველი და მეორე რაიონი. სიტყვა ეძლევა ამხ. **სერგო ორჯონიკიძეს.** იგი არკვევს შექმნილ მდგომარეობას: „ინგლისი მოითხოვს ჩვენგან, ამბობს ორატორი, გავხდეთ მისი კოლონია. ანტანტას იმედი ჰქონდა, რომ ჩვენ შინაგან ნგრევის და არეულობის მსხვერპლი შევიქნებოდით, მაგრამ იგი მოსტყუვდა. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ ჩვენ შევუდგით მეურნეობის აღდგენას და მას ახალ საფუძვლებზე მოწყობას. ამ ჟამად ჩვენ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოვადგენთ. ინგლისი გვუგზავნის ულტიმატუმს, და მოითხოვს ჩვენგან შევწყვიტოთ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებთან კავშირი და მეგობრობა. მაგრამ საბჭოთა რუსეთი არც აფრიკაა, არც რური. ჩვენ იარაღს არ ვაჟღარუნებთ,—მაგრამ სათანადო პასუხს გავცემთ იმათ, ვინც მოინდომებს ჩვენი ღირსების შელახვას.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიან მუშაობას"—ათავებს ამხ. ორჯონიკიძე თავის სიტყვას.

შემდეგ სიტყვას ამბობენ ამხ. **ვაშაკიძე** და **იტრიევი.**

პირველი და მესამე რაიონის მუშები ერთხმად იღებენ ამხ. რუზენის მიერ წაკითხულ რეზოლიუციას.

მოედანს სტოვებს დემონსტრანტთა აღნიშნული ჯგუფი და მის ალაგს მესამე რაიონის მუშები იჭერს. სიტყვას ამბობს ამხ. **მამია ორახელაშვილი.** იგი შესაფერ ანალიზს უკეთებს შექმნილ მდგომარეობას და ამბობს, რომ ჩვენი ერთსულოვნობა, სიმტკიცე და ძლიერება არის ის კლდე, რომელზედაც გადატყდება ანტანტის ხმალი. მისი სიტყვა მქუხარე ტაშს იწვევს დემონსტრანტებში.

ილაპარაკა კიდევ რამდენიმე ამხანაგმა და ექვს საათზე მიტინგი მუსიკით და „ინტერნაციონალის" სიმღერით დაიშალა.

ექიმი დ. ა. ნაზაროვი

(45 წლის საექიმო მოღვაწეობის გამო).

მაისის 19-ს სრულდება ექიმი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვის საზოგადო და საექიმო მოღვაწეობის 45 წელიწადი. ეს საკმაო ვადაა ნაყოფიერი და სასარგებლო მუშაობისათვის, რომ მიუთითოთ მშრომელთა ყურადღებას დამსახურებულ იუბილიარზე.

დ. ა. მუშაობდა უმთავრესად დასავლეთ საქართველოში—ქ. ქუთაისში. ბნელი რეაქციის ხანაში გასული საუკუნის 80 წლეებში, აქ ახალგაზრდა დ. ა. დაიწყო თავისი საზოგადო მოღვაწეობა. იმ დროში, როდესაც სასტიკად იდევნებოდა საერობო დაწესებულებებზე ფიქრიც, ექიმ ნაზაროვმა, თავის ძალის და საშუალების მიხედვით შესძლო საერობო მედიცინის საუკეთესო პრინციპების განხორციელება: კერძოთ უსასყიდლო საექიმო დახმარების პრინციპის.

ის იღებდა უახლოეს მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობაში და თავმჯდომარეობდა სასკოლო და სასანიტარო კომისიებს. მან გახსნა ქუთაისში პირველი უსასყიდლო სამკურნალო, რომლითაც გაარღვია გაბატონებული კერძო პრაქტიკის სისტემა. მისივე ინიციატივით შესდგა ქ. ქუთაისში ექიმთა საზოგადოება, რომელსაც მეთაურობდა დიდი ხნის განმავლობაში.

უსასყიდლო სამკურნალოს და ექიმთა საზოგადოების დაარსებას იმ დროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მაშინ არავინ არ ფიქრობდა და ზრუნავდა ღარიბთა ჯანმრთელობაზე და უსასყიდლო დახმარებაზე და ამ მიზნით მთელი საექიმო მეცნიერების გამოყენებაზე.

ქუთაისის ღარიბ მცხოვრებთა შორის დ. ა. ნაზაროვი ცნობილია როგორც უანგარო ექიმი.

განსაკუთრებით კარგათ იცნობს ექ. ნაზაროვს რკინის გზელთა პროლეტარიატი, რომელსაც ის, თავის 33 წ. სამსახურის განმავლობაში მუდმივ დახმარებას და მზრუნველობას უწევდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მიუხედავათ თავის წლოვანების, დ. ა. განაგრძობს სასარგებლო მუშაობას. იგი დგება ქუთაისის მაზრის საკურორტო საქმის სათავეში, ამ საგანზე ათავსებს წერილებს გაზ. „მუშა და გლეხში"; აარსებს ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას, რომელსაც დასახული აქვს მასების განათლება.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ის წინეთ და ეხლაც წყალტუბოს მადნეულობის წყაროებს. გარდა მედიცინის სხვადასხვა დარგისა, კურორტების შესახებ მას აქვს დაწერილი რამოდენიმე შრომა. მისივე ინიციატივით და თავმჯდომარეობით დაარსებულია დასავლეთ საქართველოს ექიმთა საზოგადოება.

ასეთია მოკლეთ დ. ა. ნაზაროვის მოღვაწეობის შიშველი ფაქტები. მაგრამ მისი ცხოვრება განუწყვეტელი ბრძოლა იყო მედიცინის საუკეთესო პრინციპებისათვის, რომელიც სავსებით და ზედმიწევნით გამოხატულია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

დღეს, როდესაც ხალხის ჯანმრთელობის საქმე თვით მშრომელთა ხელშია, ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ისინი, ვინც შავი რეაქციის ხანაში დაუღალავად იბრძოდა იმ პრინციპების განსახორციელებლათ, რომელიც საფუძვლათ დაედო საბჭოთა მედიცინას, ამ მოღვაწეთა შორის, ქუთაისის მაზრაში პირველ რიგში იდგა ექიმი დ. ა ნაზაროვი, რომელსაც უსურვებთ დღეგრძელობას ნაყოფიერ მუშაობისათვის მომავალშიც.

გრ კუტაიძე.

„შრაპნელებო" ფინდახედულად!

(საპასუხოდ).

გაზეთ კომუნისტის 104 ნომერში დაბეჭდილია ერთი პატარა წერილი ვინმე „შრაპნელისა". პატარა მწერალი შეკაზმულა „თოფითა და ჯინჯილითა" და... ბრაზი მოსდის, ცეცხლს აფრქვევს. არა მგონია მისი სიბრაზე ვინმეს აშინებდეს! მე, ყოველ შემთხვევაში, არა!..

პატარა „მწერალს" გზა აბნევია და თავისი წერილის დასკვნა (სათაურად რომ მოუთავსებია) არსებულ მდგომარეობიდან ვერ უნდა გამომდინარეობდეს! რაშია საქმე? აი რაში: ვინმე მასწავლებელი ძიძიგური მოითხოვს მოწაფისაგან ქართული ენა ისწავლოს. მოწაფეს არ სურს ისწავლოს ქართული. მასწავლებელი ამბობს, რომ ეს მიუღებელია, „ამას საქართველო არ დაუშვებს". მოწაფე მაინც უარზეა ისწავლოს ქართული, მასწავლებელი უპასუხებს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს გარეშე. ასეთია საქმის ფაქტიური მხარე და წერილის შინაარსი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხსენებულ წერილის უადგილო სალაყბოებს, იბადება კითხვა, ასეთი საქციელი მასწავლებლის მხრივ მისი მოვალეობის შესრულებად უნდა ჩაითვალოს თუ პირუკუღმა დასკვნა გაკეთდეს და უფლება ქონდეს საქართველოს საზოგადო მოღვაწეს, კორესპონდენტს, როგორიცაა შრაპნელი—დამემუქროს „ფრთხილად ძიძიგურებოო". არ მესმის, რას უნდა გაუფრთხილდე და ვისი უნდა შეშინოდე?!

ამხ. ტროცკი ერს და ერის უფლებებს იცავს (იხ. მისი წერილი) ამხ. სტალინი თავის სიტყვაში ამასვე ამბობს. ასეთივე ხასიათისაა მე-12-ე ყრილობის დადგენილება ეროვნულ საკითხის გამო და ბოლოს, რაც უფრო საგულისხმოა სკოლის მოღვაწისათვის, საქართველოს სახალხო განათლების კომისარი თავის ცირკულიარში არა ქართულ სასწავლებლებისადმი კატეგორიულად მოითხოვს ქართული ენა სავალდებულოდ გახდეს ყველა არა ქართველ მოწაფეთათვის. ვისაც შესაფერისი ცოდნა და სურვილი არ ექნება ისწავლოს ქართული ენა, „ის ვალდებული იქნება დასტოვოს სასწავლებელიო".*)

აქვე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ შრაპნელის წერილში სიცრუეა,

---

*) ჩვენი კორესპონდენტის წერილში ერის უფლების დაცვა (თუ ის იბღალება) კი არ იყო დაგმობილი, არამედ მითითებული მასწავლებლის მიერ მოწაფისადმი უხეში მოპყრობაზე. თავის თავათ ასეთი საქციელი შეუწყნარებელია და დასაგმობია ის გარდა ამისა მით უფრო, როდესაც ხელს უწყობს შექმნას მოზიზღული ატმოსფერა ერთა შორის შუღლისა და მტრობის. ასეთი იყო აზრი ამ „შრაპნელის" წერილის.

რედაქცია.

მუშათა ცხოვრება

ამხ. პოროვსკის ხსოვნას

ოჰ, საზიზღარო მტარვალო,
რა, ჰქენი შეჩვენებულო!
ზურგიდგან დანა რათ ჩაგვეც
შე გაიძვერავ, წყეულო!

—

შენს გასვრილ ხმალსა რათ მოსცხე
მსოფლიოს სისხლი, წყეულო,
რათ მოჰკალ მუშის ბელადი
ბოროტო, გზა-დაბნეულო!

—

ვიცით რაცა გსურს; არ გასჭრის
შენი გველური ფიქრები,
შენივე ხმლით შენ თითონ
დამარცხებული იქნები!

—

არ გეყო, გველო, რაც მორწყე
სისხლით მსოფლიოს ველები?!
შორს ჩვენგან, იქით წაიღე
ეგ მოშხამული ხელები!

—

მალე სულ-მალე დადგება
თქვენი გაქრობის წუთები
პროტესტს, ზიზღს, მტრობას გიცხადებთ
თელი მსოფლიოს მუშები!

მუშ.—კორ. როინიშვილი.

—

პირველი სახელმწიფო კოლოფის ქარხანა „ინტერნაციონალი"

ამხ. „კამოს" ქუჩაზედ № 28 მოთავსებულია კოლოფის ქარხანა, რომელსაც ა. წ. 1 მაისს შეუსრულდა არსებობის 2 წლის თავი.

ეს ქარხანა დაარსდა საბჭოთა ხელისუფლების დროს; იგი წარმოიშვა 13 ყოფილ წვრილ დაქსაქსულ კერძო მეპატრონეთა სახელოსნოებისაგან, რომლებიც იყვნენ მოთავსებული ნოტიო და ბნელ სარდაფებში. მუშების მდგომარეობა ამ პატარა სახელოსნოებში საშინელი იყო, მხოლოდ სიმშილობის შიში აკავებდა მათ იმ ნესტიან და დამპალ სახელოსნოებში. 1917 წლის რევოლიუციის დროს მუშები შეკავშირდენ ერთად და შეუერთდნენ მეთუთუნეთა კავშირს.—1919 წელს იყო დაარსებული მეკოლოფეთა სექცია, და მუშების ცხოვრებას დაეტყო გაუმჯობესება. ბოლშევიკური-მუშაობა აღნიშნულ მუშებში მიმდინარეობს ამხ. ფრიდონოვის ხელმძღვანელობით, რომელიც დიდს როლს თამაშობს მუშათა შორის. ამ სექციის მუშები მენშევიკების დროს არა ერთხელ იყვნენ დევნილი კავშირის წევრების—მენშევიკების მიერ, რადგანაც მათ სწამებდენ ბოლშევიკობას.

ამხ. ფრიდონოვის ენერგიულ მუშაობის მეოხებით იყო გაერთიანებული, როგორც ვსთქვით, 13 დაქსაქსული სახელოსნოები ერთ შენობაში, საკანტროლო პალატაში, კამოს ქუჩაზედ № 28, სადაც არსებობს დღესაც.

14 მაისის დღე დიადია ჩვენი მუშებისათვის, რადგანაც ამ დღეს მოხდა ყველა კოლოფის სახელოსნოების გაერთიანება,—და ამ დღიდან დაიწყო ნორმალური მუშაობა არა მეპატრონე ექსპლოატატორების სასარგებლოდ, არამედ თვით მუშებისათვის. ძალიან ძნელი იყო სახელოსნოების გაერთიანების საქმე, მაგრამ ამხ. ფრიდონოვმა შესძლო ეს მუშების აქტიური დახმარებით. იყო დრო, როცა ჩვენთან მოდიოდენ ძველი მეპატრონეები, ვითომც-და ხელის შესაწყობად, მაგრამ მუშებმა ადრე გაიგეს, რომ ისინი მოვიდნენ მათთან პირიქით ხელის შესაშლელად—საქმის ასარევად, რისთვისაც ისინი იყვნენ განდევნილი ქარხნიდან.

რასაკვირველია, ქარხნის წარსულს დაწვრილებით მე ვერ აღვნიშნავ, მაგრამ ამხ. ფრიდონოვის მუშაობა არ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვო. მან არარაობისაგან შექმნა კოლოფის ქარხანა,—რომელსაც დიდი შემოსავალი მოაქვს ტრესტისათვის და რომელიც დიდ საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფო თუთუნის ქარხნებისათვის. ამხ. ფრიდონოვი ჩვენი მუშათა წრიდან არის გამოსული; ის წასწია წინ 1917 წ. რევოლიუციამ.—1921 წ. რევოლიუციამ კი მას დააკისრა საპასუხისმგებლო დირექტორის ადგილი. მისივე შრომით აღდგენილ ქარხანაში. მის ხელში ქარხანა გაუმჯობესდა. კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ქარხანაში ძალიან მაღლა სდგას და ჩვენ ვესალმებით საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას, რომელმაც გამოგვიყვანა სველ და ბნელ სარდაფებიდან მზის სხივებზედ, სინათლიან ფაბრიკა-ქარვასლაში.

გაუმარჯოს ჩვენი ქარხნის ორი წლის თავს!

მუშა მეკოლოფე—როტინოვი.

—

მელითონეებში.

ამ წლის 8 მაისს, ლითონის განყოფილების მე-3 ავტო-სახელოსნოში შესდგა აღნიშნულ განყოფილების ყველა სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ვედიორკო, მდივნობდა ბახტიაროვი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) მელითონეთა კავშირის უმუშევარ წევრთა დახმარების შესახებ;
2) სპარტაკელების მოწოდება;
3) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ ერთხმად გადაწყვეტილ იქნა: 1 პროცენტი, რომელიც ირიცხებოდა ქუჩის ბავშვთა სასარგებლოდ, გადარიცხულ იქნეს მელითონეთა კავშირის უმუშევარ წევრთათვის, რადგანაც უკანასკნელნი დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან იმ დროს, როდესაც ქუჩის ბავშვთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. მიმდინარე საკითხებში მოხსენდა კრებას ცნობათ, რომ სპეც ტანისამოსი ახლო მომავალში დაურიგდებათ მუშებს; იმ მუშებს კი, რომელნიც დათხოვნილ იქნენ აპრილში შტატების შემცირების გამო, ურიგდებათ უფასოდ თითო წყვილი ფეხსაცმელი. პურის მაგივრათ, რომელსაც უკანასკნელ ხანში აღარ იღებდნენ მუშა-მოსამსახურენი, მათ დაერიგებათ თითო ფუთი კანადის ფქვილი. აგრეთვე კოლეგიის მიერ მიღებულია ზომები, რათა დაურიგდეთ მუშა-მოსამსახურეთ ნავთი ნაღდ ფულზედ.

სპარტაკელების წარმომადგენელმა, განუმარტა რა დამსწრეთ ფიზიკურათ განვითარების მნიშვნელობა, მოუწოდა მუშა-მოსამსახურეთ, რათა უკანასკნელებმა თავიანთი შვილები 12—16 წლამდე წარმოგზავნონ სპარტაკის ორგანიზაციაში მათი ფიზიკურათ განვითარებისათვის. სპარტაკის მოწოდება მიღებულ იქნა ცნობათ და დაევალა ქარკომის წევრებს შეადგინონ მუშების ბავშვთა სიები, რათა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მეცადინეობას. კრება დაიხურა საღამოს 5 საათზე.

მელითონე.

—

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

ბინის ტარიფიკაციის შესახებ.

კითხვა: რომელი მუშა-მოსამსახურე ითვლება ბინის ქირის გადამხდელთა მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე კატეგორიებში?

პასუხი: აღნიშნული ექვს კატეგორიაში ირიცხებიან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვეში იღებენ შრომის ხელფასს საქონლის 25 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 50 მანეთისა, **რაც ამიერ-კავკასიის ბონებით, თანახმად მაისისთვის გამოქვეყნებულ საქონლის მანეთის კურსისა**, (იხ. გაზეთ „კომუნისტი" № 107 ა. | წ. 13 მაისი), **უდრის** 44 125.000—82 250 000 მ.

კითხვა: რა რაოდენობით იხდიან ბინის ქირას აღნიშნულ კატეგორიებით გადამხდელი მუშა-მოსამსახურენი?

პასუხი: საიჯარო ქირა აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეთათვის **წესდება ძირითად, მტკიცე განაკვეთების მიხედვით** და შემდეგი რაოდენობით:

მე-5 კატეგორია:

(ძირითადი თვიური ჯამაგირით საქონლის—20—25 მანეთამდე ამიერ-კავკას. ფულის ნიშნებით—32.900.000.—41.125 000 მანეთამდე).

ამ კატეგორიით გადამხდელი მუშა-მოსამსახურენი, **ქალაქის ცენტრ. რაიონებში** მცხოვრებნი საცხოვრებელ ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე იხდიან საქონლის მანეთის—1,3 კოპეიკს, რაც ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით შეადგენს (მაისის თვისთვის საქონ. მანეთზე დაწესებულ კურსით)—21.385 მანეთს, **ქალაქ. განაპირა რაიონებში**—ყოველ კვადრატიულ არშინზე მუშა-მოსამსახურენი იხდიან საქ. მან. 0,7 კოპეიკს,—ამიერ-კავ. ბონებით კი—11.515 მანეთს.

მე-6 კატეგორია:

(ძირით. თვ. ჯამაგ. საქონლის მან. 25—30 მან. ბონებით 41.125.000—49 350 000 მანეთამდე).

ცენტრში მცხოვრები მუშა-მოსამსახურენი კვადრ. არშინზე იხდიან საქ მან.—1,55 კაპეიკს, რაც ამიერ-კავკ. ბონებით უდრის—25.497 მანეთს; **ქალ. განაპირა რაიონ.** მცხოვრ. მუშა-მოსამსახ. იხდიან კვადრ. არშინზე საქონ. მანეთის 0,8 კაპეიკს—ამიერ-კავკ. ბონებით კი—13.160 მან.

მე-7 კატეგორია:

(ძირით. თვ ჯამაგირი—საქ. მან. 30—35-მდე, ამიერ-კავკ. ბონებით კი 49 350.000—57.575 000 მანეთამდე).

მეშვიდე კატეგორიით გადამხდელი მუშა-მოსამსახურენი,—**ცენტ. რაიონ. მცხ.** საცხ. ბინის ყოველ კვად. არშინზე იხდიან საქ. მან. 1,8—ბონებით კი—29 610 მანეთს; **ქალ. განაპირა** რაიონებში ყოველ კვადრ. არშ. იხდიან საქ. მან. 0,9 კაპ., რაც ამიერ-კავ. ბონებით შეადგენს 14.805 მ.

მე-8 კატეგორია:

(ძირ. თვ. ჯამაგ. 49 350 000—65.800 000 მანეთამდე **ამიერ-კავკ. ბონებით**; საქ. მანეთით კი—35—40 მანეთამდე). ამ კატეგორიით გადამხდელები **ცენტრში იხდიან** ყოველ კვად. არშინზე (მაისისთვის კურსით) **საქ. მან. 2 კაპ.**—ამიერ-კავკ. ბონებით კი 32.900 მანეთს; **განაპირა რაიონებში**—კვად. არშინზე საქ. მან. 1 კაპ. ბონებით კი 16 450 მანეთს.

მე-9 კატეგორია:

(ძირ. თვ. ჯამაგ.—საქონ. მან.—40—45 მანეთამდე; ამიერ-კავკ. ბონებით 65.800.000—74.025.000 მანეთამდე). **ცენტრში** მცხ. მუშა-მოსამსახ., ამ კატეგორიაში ჩარიცხული, საცხ. ბინის ყოველ კვადრატ. არშინზე იხდის საქ. მან. 2,75 კაპეიკს; ამიერ-კავკ. ფულის ნიშნებით—45.237 მან; **ქალ. განაპირა ადგილებში**—კვადრ. არშ. საქ. მან. 1,35 კაპ.—ბონებით კი—22.207 მანეთს.

მე-10 კატეგორია:

(ძირ. თვ. ჯამაგირით—საქ. მანეთის—45—50 მან. ამიერ-კავკ. ბონებით—74.025.000—82 250,000 მან.) ამ კატეგორიით გადამხდელი მუშა-მოსამ. (**ცენტრში მცხოვრები**—საცხ. ბინ. ყოველ კვადრ. არშინზე იხდის საქ. მან. 3 კაპ., ამიერ-კავკ. ფულის ნიშნებით (საქ. მან. მაისის თვის კურსით)—49.350 მანეთს. **ქალ. განაპირა რაიონებში**—კვად. არშინზე იხდის საქ. მან. 1,5 კაპეიკს; ამიერ-კავკ. ბონებით. ეს უკანასკნელი შეადგენს 25.675 მანეთს. (იხ. ქალ. საბჭ. დადგ. № 11 §§—1, 4 და შრომის კომის. რწმუნებულის საშმართვ. დადგ. № 15—11 მაისიდან 1923 წ.).

—

მუშათა ქრონიკა

— **დამსახურებული მადლობა.** ამა წლის 8 მაისს მე-5 სახელმწიფო ქარხნის (კამოს სახელობის) მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. არხიმანდრიტოვის მოხსენება ქარხნის კომიტეტის მუშაობის შესახებ და აგრეთვე სარევიზიო კომისიის ანგარიშები და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ქარხნის კომიტეტის 3 თვის მუშაობა ჩაითვალოს სრულიად დამაკმაყოფილებლად და ამხ. არხიმანდრიტოვს კეთილ-სინდისიერ და თავდადებულ მუშაობისათვის გამოეცხადოს მადლობა.

შრომის ექსპლოატატორთა გასამართლება.

— მე 3 რაიონის შრომის ინსპექტორმა შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის ამ დღეებში ოქმი შეუდგინა შემდეგ კერძო მწარმოებელთ:

1) **იოსებ პარაჯანოვს** (რესტორანის პატრონს—დავიდოვის ქ. № 4), რომელიც ამუშავებდა მზარეულს ნესტორ ფოფხაძეს, რომელსაც არ აღმოაჩნდა საანგარიშო წიგნაკი და რომელიც არც დაზღვეული იყო.

— 2) **სოლომონ და დავით ჯანდიგაშვილებს**, ხილის საწყობის პატრონი (მუხრანის ბაზარი-დარაბა № 18—67). ამათ საწყობში მუშაობდა ერთი მცირე წლოვანი ნავრუზაშვილი დაწესებულ დროზე მეტს, უსახურია 6 წელიწადი, კუთვნილი შვებულება და არც საკომპენსაციო ფული არ მიუღია, მოზარდი არც დაზღვეული აღმოჩნდა.

— 3) **კონსტანტინე ჩიტაშვილს**—(ლენინის ქ., № 38 (საწყალსადენო სახელოსნოს პატრონს), რომლის სახელოსნოში მუშაობდა 12 საათს ყოველდღიურად მოზარდი აგასი პოლოსიანცი, რომელიც ჯამაგირს არ ღებულობდა, ბავშვი არ აღმოჩნდა დაზღვეული და მას არც საანგარიშო წიგნაკი ქონდა.

თითქოს გამგეს მოეთხოვოს მოწაფისათვის ბოდიშის მოხდა. ამას ადგილი არ ქონია და არც საჭირო იყო. შემდეგ: ჩემის მხრივ არ იყო ხმარებული სიტყვა „წაეთრიე", ამის თქმა მასწავლებელს არ შეშვენის.

108-ე სკოლის მასწავლებელი **ძიძიგური.**

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატში.

— **სახელმწიფო ვაჭრობის მოწესრიგებისათვის.** ამიერ-კავკასიის სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა სახელმწიფო ვაჭრობის მოწესრიგების დებულებები.

— **განყოფილებათა გაერთიანება.** იმავე კოლეგიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ განმანაწილებელ განყოფილების მუშაობა თანდათან კლებულობს, დაადგინა განმანაწილებელი განყოფილება შეუერთოს საფინანსო განყოფილებას საერთო და დაარქვას მას საფინანსო-საანგარიშო განყოფილება. სასურსათო გადასახადების განყოფილება გაერთიანებულ იქნა საორგანიზაციო საადმინისტრაციო მართველობასთან და დაერქვა მას საორგანიზაციო გადასახადთა მმართველობა.

— **კოლეგიის წევრის დანიშვნა.** იმავე კოლეგიის დადგენილებით ამხ. თოდრია დაინიშნა ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის გამგეობის წევრად აწარმოოს მუშათა საქ. სასურსათო უწყებაში.

ქალაქის აღმასკომში.

— **უძრავ ქონებათა სამმართველოს დაარსება.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა პროექტი ქალაქ ტფილისის უძრავ ქონებათა სამმართველოს დაარსების შესახებ.

— **ვანო სარაჯიშვილის იუბილეს გამო.** პრეზიდიუმმა დაავალა ამხ. მესხს პრეზიდიუმის სახელით მიესალმოს მომღერალ ვანო სარაჯიშვილს მისი იუბილეს დღეს და გადაეცეს 50 მილიონი მან.

— **დროშების შეძენა.** პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პოლიტ-განათლების განყოფილებას საჩქაროდ დაამზადოს დროშები აღმასკომის შეფობის ქვეშ მყოფ კავკ. განსაკ. ცხენოსან ბრიგადის სამხ. სკოლისათვის და ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის.

— **წითელ ჯარის საზაფხულო ლაგერის მოსაწყობად** პრეზიდიუმმა დაადგინა საინჟინერო სამმართველოს მიეცეს 500 მილიონი მან. წითელი ჯარისათვის საზაფხულო ლაგერის მოსაწყობად.

— **კარსანის აგარაკების მოსაწყობად.** განათლების განყოფილების მომართვის თანახმად, პრეზიდიუმმა დაადგინა გაიღოს კარსანის აგარაკების შესაკეთებლად 226 მან. და 93 კაპ.

— **დახმარება.** მენშევიკების მიერ მოკლულ ამხ. თომა ჩუბინიძის ოჯახს მიეცეს 20 მილიონი მან. დახმარების სახით და აგრეთვე მათი მუდმივი უზრუნველსაყოფად მიღებული იქნეს სათანადო ზომები.

შრომის ბირჟაში.

— **უმუშევრები.** 14 მაისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 670 უმუშევარი, ამავე დღეს ჩაეწერა—160, გაიგზავნა სამუშაოზე—77. აქედან დედაკაცი—14, მამაკაცი—63.

გამომცემლობა.

— **კოოპერაციის წესდება.** ცეკავშირმა გამოსცა მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების წესდება ქართულ და რუსულ ენებზე. წესდების შეძენა შეიძლება ცეკავშირის წიგნის მაღაზიაში (შტაბის ქ. № 6).

სხვა. და სხვა.

— **ბავშვების დღესასწაული.** 20 მაისს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში იმართება ბავშთა დღესასწაული. სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა, ვინაიდან მიმდინარე წელს ბავშვები კარგათ სწავლობდენ--მისცენ მათ საჩუქრად წითელი დროშა.

შემთხვევები.

— **ქურდობა** იზმაილოვის ქ. № 5 ბოროტ-მოქმედებს გაუტეხიათ აბრამ გრიგოლის ძე არუთინოვის ბინა, საიდანაც წაუღიათ სხვა და სხვ. ნივთეულობა და ტანთსაცმელი.

— არსენალის შოსეზე № 37 ბოროტ-მოქმედებმა გაქურდეს კარაპეტ ჰუმბურიძის საწვრიმალო დუქანი.

— პლეხანოვის პრ. № 128 ქურდებს არჩეულ გასაღებით გაუღიათ მოქ. გალკა კლიაჩკინის ბინა, საიდანაც წაუღიათ სხვა და სხვა საოჯახო ინვენტარი და ტანსაცმელი.

— უდელის ქ. № 7 ბოროტ-მოქმედებმა გაქურდეს გადასახადთა ინსპექტორის იოსებ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის ბინა.

ხელოვნება

— **დახმარება სახალხო სახლს.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა სახალხო სახლს მისი დაარსებიდან 30 წლის შესრულების თავზე გამართულ იუბილეს გამო მიეცეს დახმარების სახით 100 მან. ოქროთი.

— **ნ. ბარათაშვილი სომხურ ენაზე.** ითარგმნება სომხურ ენაზე და ახლო მომავალში გამოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის რჩეული ლექსები. აგრეთვე ითარგმნება ქართველი ახალგაზრდა მწერლების რჩეული ლექსები, რომელიც გამოვა ერთ ტომად.

— **ქართულ სომხური ჟურნალი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ქართულ-სომხური ჟურნალი, რომელშიაც მონაწილეობენ ქართველი და სომეხი პროლეტარული პოეტები.

— **ილ. ნაკაშიძის ლექცია.** 12 მაისს, სომეხთა მწერლების სახლში, ილია ნაკაშიძემ რუსულ ენაზე წაიკითხა ლექცია შოთა რუსთაველზე. ლექციას დიდძალი მსმენელები დაესწრო.

პროვინციაში

ბორჯომის რაიონი.

სათანადო კამპანიის და ნიადაგის მომზადების შემდეგ, ფართო მშრომელი მასის დადგენილებით აპრილის პირველ რიცხვებში დაკეტილ იქნა ცრუ მორწმუნეობის კერები—ეკლესიები. **ხულ** 17 (მეტი არ არის) ეკლესია; ამათგან თვით ქალ. ბორჯომში—3, ბაკურიანის რაიონში—4, წაღვერის რაიონში—4, ახალდაბის—3, ბორჯომის მახლობლად მდებარე სოფლებში—3.

ხალხის გამოსაფხიზლებლად კარგი საშუალება, გარდა კომუნისტებისა და უპარტიოთა ანტირელიგიურ პროპაგანდისა, არის ყოფილი მღვდლების აგიტაცია: ზოგმა მღვდელმა წინდაწინვე თავი დაანება თავის სამარცხვინო ხელობას. ისინი ამბობდენ (როგორც წერილობით, ისე მიტინგებზე და საუბრებშიაც): იმნაირ წრეში ვიზრდებოდით, რომ იძულებული შევიქენით მღვდლები გავმხდარიყავით; რელიგია მუშათა კლასისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, ცრუ-მორწმუნეობაა, არც ღმერთია და არც ეშმაკი, ყოველივე მოგონილია. ზოგიერთი მღვდელი ამბობს,—არა სარწმუნოებისთვის ვმსახურებდი, არამედ კარგი შემოსავლისთვისო.

ჰქონდა ადგილი ასეთ პროვოკაციას: კომუნისტებს არავითარი ნათესაობა არ სწამს და სხვა, რაც იწვევდა ზოგიერთებში გაუგებრობას, მაგრამ ყველას გაეცნო საბჭოთა სამოქალაქო კანონები ქორწინებისა და სხვა ოჯახურ მდგომარეობათა შესახებ; და ასეთ პროვოკაციას ბოლო მოეღო.

ეხლა სწარმოებს ჯეროვანი მუშაობა ყოფილ ზოგიერთ ეკლესიების კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისათვის გამოსაყენებლად.

ე. ფრანგიშვილი.

პირველი მაისის დღესასწაული ქ. ჭიათურაში და საჩხერეში.

ქ. ჭიათურა პირველ მაისის დღეს დიდი ზეიმით შეხვდა. ადგილობრივი რაიკომის ხელმძღვანელობით ჭიათურის მუშებმა წინდაწინვე დაიწყეს მზადება ამ დღესასწაულის ჩასატარებლად. მათ მორთეს ქალაქი, დაწესებულებები, ქარხნები, დაასუფთავეს ქუჩები, მორწყეს უკანასკნელი და მით გაამშვენეს მუშური ცენტრი შორაპნის მაზრისა.

მუშებმა მოითხოვეს დაახლოვება სოფლელ გლეხებთან და სთხოვეს რაიკომს, რათა ჭიათურაში მიტინგის გათავების შემდეგ ისინი გადაეყვანათ საჩხერეში, სადაც მოწვეული იყო მთელი რაიონის გლეხობის კრება. რაიკომმა აღძრა სათანადო შუამდგომლობა მუშების სურვილის დასაკმაყოფილებლად. 13 აპრილის შუადღიდან ქ. ჭიათურას საზეიმო ხასიათი მიეცა; განსაკუთრებული იყო ქალაქის გარეგნული შეხედულება თავისი მორთულებით, კიდევ უფრო შესანიშნავი იყო მუშების მომღიმარე სახე ამ დღესასწაულის მოლოდინში. ქალაქის ყოველ ნაბიჯზე თქვენ შეხვდებოდით მუშებისაგან შემდგარ ჯგუფებს, რომელნიც ებაასებოდენ ერთი-მეორეს ამ დიად მნიშვნელოვან დღესასწაულზე; მცოდნე უხსნიდა არა მცოდნეს პირველ მაისის წარმოშობას, მის ისტორიას და მნიშვნელობას; მეორე ჯგუფი მუშებისა მსჯელობდა საბჭოთა საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაზე, მესამეს კიდევ სულია სხვა თემა საუბრისა; აღსანიშნავია ის, რომ თქვენ ვერ ნახავდით ვერც ერთს მუშას, რომელიც ყოფილიყო გართული სხვა რამეში, გარდა საქმიანი მსჯელობისა და საუბრისა. მე გულმოდგინედ ვაკვირდებოდი ყველა ამას და ვფიქრობდი: მართლა გამარჯვებულია საბჭოთა მთავრობა, რადგანაც მუშები ასე შეგნებულად აფასებენ მას. ამ მშვენიერ სურათს ზედ დაემატა კიდევ უკეთესი სანახავი: საღამოს 9 საათზე საჩხერიდან ამოდის მატარებელი, რომელსაც მოყავს მრავალრიცხოვანი, ჯარში გაწვეული ახალგაზრდები. ვაგონებიდან მოისმის მხიარული სიმღერები, მატარებლის გაჩერებისას ჯარისკაცები ესალმებიან სადგურის წინ მოსეირნე მუშებს და იმართება მათ შორის ერთგვარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ამხანაგური მსჯელობა. ამ ახალმა სურათმა მე კიდევ მეტად დამაინტერესა და შევეცადე დაახლოვებით მაინც მომესმინა დედა-აზრი მათი საუბრისა. ჯარისკაცნი აცხადებენ: ჩვენ მივდივართ ჯარში მხიარულათ იმიტომ, რომ ოჯახი მშვიდობიანათ დავტოვეთ, მთავრობამ დაგვირიგა მიწა, მოგვცა საშუალება მისი დამუშავებისა თესლით, ინვენტარით და სხვა ასეთებით; მთავრობამ ჩვენ მოგვაცილა „ბატონები" წერეთლები და სხვა მუქთახორები, საბჭოთა მთავრობამ ჩვენ მოგვაცილა ეკლესიები, სადაც ჩვენი მშობლები დიდ დროს კარგავდენ ლოცვაში და ოფლით ნაშოვარი გროშები იქ მიქონდათ, ჩვენ გაგვთავისუფლდით აგრეთვე მატყუარა მღვდლებისგან, რომელნიც მაცდურობით სძარცავდა ჩვენს ოჯახს, ჩვენ მივდივართ ჯარში. ამასთან დარწმუნებული ვართ, ჩვენს მშობლებს, ოჯახს ვერავინ ვერ შეურაცყოფს; მასთან ჩვენ ვიცით ისიც რომ ჯარში ჩვენ შევიძენთ სწავლა-განათლებას, სამხედრო ცოდნას და სხვა; ვიცით ისიც, ჩვენი მასწავლებლები იქნებიან წითელი ოფიცრები, გლეხები და მუშები, რომელთაც კარგათ ესმით ჩვენი ფსიხოლოგია და შეჰვასწავლიან იმას, რაც საჭიროა ნამდვილი პატიოსან მოქალაქესათვის; ვიცით ჩვენ ეს ყოველისფერი და ამიტომ ნებაყოფლობით და ხალისით მივდივართ იქ, სადაც ჩვენ გვეძახიან. ამის გამგონე მუშები უფრო აღფრთოვანებით და სიხარულით აღნიშნავდენ საბჭოთა ხელისუფლების ნაბიჯებს მუშების დასაცავად და აღუთქვამდენ ჯარში გაწვეულებს გაორკეცებულ მუშაობას მაღაროებში, საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

ამ ბაქანზე მოისმა სადგურის ზარის მესამე ხმა, ვაგონები ისევ გაივსო ჯარის კაცებით, მატარებელი დაიძრა, მუშები ქუდის ჩვენებით, ჯარის კაცნი კი სიმღერით და ღიმილით გამოემშვიდობენ ერთმანეთს. დიდხანს უყურებდნენ მუშები მიმავალ მატარებელს, სადაც სიმღერის ხმა დაფარა ორთქლმავალის და ბორბლების ხმაურმა, მაგრამ კიდევ სჩანდა ვაგონების ფანჯრებიდან ახალგაზრდა მომღიმარე სახეები ჯარის კაცებისა. ახლა კი მუშებმა გამართეს მსჯელობა სხვა თემაზე.

მეორე დილას, როდესაც მზის სხივებმა მოფინა თავისი ელფერი შავი ქვის მიდამოებს, მორთული ქალაქი წარმოადგენდა ლამაზ სანახაობას. აქა-იქ გროვდებოდნენ მუშები და იძლეოდენ სხვა და სხვა თავდარიგს. მზე თანდათან მაღლა იწევდა, ქალაქს ხალხი ემატებოდა და შავი ქვის (მარგანეცის) დედა-ქალაქს უფრო სიკეკლუცე ეტყობოდა. ქალაქის მთელი დაბლობი, განურჩევლად რკინის გზის ლიანდაგისა, გაივსო მუშებით, იყო მოხუცებულნი, ახალგაზრდობა, იყო აგრეთვე მშრომელი ინტელიგენციაც. დიდ-ძალი იყო მოწაფეობაც. დღის 12 საათზე ეს მრავალრიცხოვანი ხალხი ერთსულოვნებით გაექანა ტრიბუნისაკენ. ჭიათურის რაიკომის პ. | მ. მდივანმა (იგივე თავმჯდომარე პირველ მაისის დღესასწაულის ჩამტარებელ კომისიისა) ამხ. ურუშაძემ გახსნა მიტინგი, მიესალმა მას რაიკომის სახელით, აუხსნა მსმენელთ მნიშვნელობა პირველ მაისისა, მისი წარმოშობა და განვითარება, შემდეგ ილაპარაკა სამაზრო კომიტეტის პ. | მ. მდივანმა ამხ. ქავთარაძემ, რომელმაც მდაბიო ენით გააშუქა მუშების წინაშე, რა პირობებში უხდებოდა მუშებს უწინ პირველი მაისის დღესასწაულობა და რა პირობებში დღესასწაულობენ დღეს. როგორ დღესასწაულობენ პირველ მაისს საბჭოთა ქვეყნები და რა დევნას განიცდიან მუშები დასავლეთ ევროპაში. ის შეეხო აგრეთვე რურის მუშების უმწეო მდგომარეობას, საფრანგეთის ოკუპანტებს, მეორე ინტერნაციონალის მოღალატურ პოლიტიკას მუშებისადმი. შემდეგ ილაპარაკა სამაზრო პროფბიუროს პ. | მ. მდივანმა ამხ. სულავამ, რომელმაც მიაქცია მუშების ყურადღება მუშების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაზე, მან გააცნო მსმენელნი წითელ კავშირების მნიშვნელობას მუშების ინტერესების დასაცავად, გაკვრით მოიხსენია ეტაპები მუშების მოძრაობის განვითარებისა. ამხ. სულავას შემდეგ ილაპარაკა ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ტ. მგალობლიშვილმა საბჭოთა ხელისუფლებაზე და მუშებზე; შემდეგ კომკავშირის წარმომადგენელმა—ახალგაზრდობაზე. ქალთა განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. მარო ჩიტიშვილმა—ქალთა განვითარებაზე. ილაპარაკეს მუშებმა: გოცაძემ, ცუცქირიძემ, შენგელიამ და რაოდენიმე სხვამ; ამხანაგები მუშები ერთხმად გაიძახოდენ საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშების გამოფხიზლებაზე და განვითარებაზე, ისინი ლაპარაკობდენ საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობაზე მუშებისათვის და მოუწოდებდენ მსმენელთ პირველი მაისი ედღესასწაულათ მათ მთელ მსოფლიოს მუშებთან ერთად მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ორატორებს ხალხი ხვდებოდა მქუხარე ტაშით, ორატორთა სიტყვებს და მიტინგის მსვლელობას ამშვენებდა ალექსანდრე კავსაძის ხოროს ნაზი ჰარმონიული ინტერნაციონალი, აგრეთვე სხვა და სხვა სიმღერები, შედგენილი მის მიერ პირველი მაისის საპატივცემლოთ.

ანქანი.

შორს მენშევიკური პარტიიდან

(წერილი რედაქციის მიმართ).

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი განცხადება:

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი მუშა-მოსამსახურენი წინანდალის სახალხო მამულისა ვაცხადებთ მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე, რომ ჩვენ სამუდამოთ დავრწმუნდით რა რომ მენშევიკური და სხვა მემარჯვენე სოციალისტური პარტიები საქართველოში ღალატობდენ მუშათა კლასის საქმეს და მოქმედებდენ ხელი-ხელ ჩაკიდებული მსოფლიო იმპერიალისტურ მტაცებლებთან ერთად; რომ მათ ჰქონდათ კავშირი რუსეთის პროლეტარიატის ჯალათებთან გენ. ალექსეევის და სხვა კონტრ-რევოლიუციონერ გენერლებთან. აგრეთვე აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ერთა შორის, რის გამო ხდებოდა ძმათა შორის სისხლის მღვრელი ომები.

ვიღებთ რა ყოველივე ამას მხედველობაში ჩვენ წინანდალის სახალხო მამულის მუშა-მოსამსახურეები უგზავნით წყევა—კრულვას ზემოხსენებულ ბანდიტურ პარტიებს და ეთხელ და სამუდამოთ ვტოვებთ მათ რიგებს, რათა ამით გავასწოროთ ჩვენი შეცდომები მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე. ვდებთ ფიცს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინაშე, ვიქნეთ ღირსეული მუშაკნი საბჭოთა აღმშენებლობისა.

1) ნ. მაჭარაშვილი, 2) Н. Никулин, 3) ა. ჭელიძე, 4) ი. ლომიძე, 5) E. Преер, 6) ალ. იმერლიშვილი, 7) ბერიძე, 8) სანდრო ვეფხვიაშვილი, 9) თუშმალიშვილი ალ., 10) შაქრო მეგრელიშვილი, 11) სვიმონ ჭიოტელი, 12) ანდრო ვეფხვიაშვილი, 13) დავით ბოლქვაძე, 14) პავლე ქავთარაძე, 15) კ. ფეიქრიშვილი, 16) ალ. ზატიკაშვილი, 17) სიკო მსუქნიშვილი, 18) М. Беленький, 19) ძამუნაშვილი, 20) ნიკო სეხნიაშვილი, 21) გიგლო ბატიაშვილი, 22) ვანო ქუმსიაშვილი, 23) იოსებ მატინოვი, 24) მელიაშვილი, 25) ლ. კიკნაძე, 26) სანდრო ბექუაშვილი 27) ალ. მეგრელიშვილი, 28) ნ. ტატიშვილი, 29) შაქრო ხუცაიძე, 30) ვანო ვეფხვიაშვილი, 31) სოლომონ ბატიაშვილი, 32) გ. ჭიჭიაშვილი, 33) ვასო ასონიშვილი, 34) ვასო ქუმსიაშვილი, 35) სანდრო გაგონაშვილი, 36) მიხა კასრელიშვილი 37) შაქრო ხუცაიძე, 38) ლევანი ქურციკაშვილი 39) ვანო ვეფხვიაშვილი, 40) ალექსა ვეფხვიაშვილი, 41) იოსებ ვეფხვიაშვილი, 42) ლ. ასანაშვილი, 43) გიგო ბეჟანაშვილი, 44) გიორგი კასრელიშვილი, 45) ლ. მეგრელიშვილი, 46) მიხა შიუკაშვილი, 47) გიორგი ხუცაიძე, 48) Г. Матинов, 49) В Маквич, 50) Гр. Пащенко, 51) კოტე ჩოლოყაშვილი, 52) რჩეულიშვილი, 53) ელ. კავლიშვილი, 54) ქ. მსუქნიშვილი, 55) ფ. ბექუაშვილი, 56) აბრია ვეფხიაშვილი, 57) სიკო ვეფხიაშვილი, 58) სოლომონ ოქროპირიძე, 59) არჩილ ვეფხიაშვილი, 60) ნიკო ბატიაშვილი, 61) ალ. ბატიაშვილი, 62) ეფ. კისელიოვი, 63) სერგო მატინოვი, 64) ა. ბექუაშვილი, 65) მიტრო დავითნიძე, 66) თედო მამალაშვილი, 67) ვანო ბექუაშვილი, 68) ტიტია ბატიაშვილი, 69) კოტე ბექუაშვილი, 70) Т. Петрова, 71) სანდრო მამალაშვილი, 72) ნიკა ღვინიაშვილი, 73) რეზო ბატიაშვილი, 74) გიგო ფეიქრიშვილი 75) დიმელაშვილი, 76) ვასო ბოჭორიშვილი, 77) გაგანაშვილი გიო, 78) ვეფხვიშვილი გ. 79) ალ. ბატიაშვილი, 80) სერგო ოგანეზოვი, 81) დავით სვანელი, 82) [illegible] 83) იოსებ მსუქნიშვილი, 84) ვანო ბექუაშვილი, 85) ისაკ ესიტაშვილი, 86) ვასო ვეფხვიაშვილი, 87) სანდრო კირვალიძე 88) ლევან ესიტაშვილი, 89) ზალიკო ბატიაშვილი, 90) ტიტია ბატიაშვილი, 91) ხვთისო საგინაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 48.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 11.

სატარიფო განაკვეთის რაოდენობის შესახებ სოციალური დაზღვევისათვის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ დაზღვევის ტარიფის საკატეგორიო განაკვეთის შესახებ 1922 წლის დეკემბრის 8-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის გასაუქმებლად, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1923 წლ. მაისის 1-დან, დაქირავებული შრომით მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევისათვის შემდეგი ტარიფი გადასახადისა პროცენტებად ყოველგვარი ხელფასზე ყველა კერძო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ, საკონცესიო, საიჯარო საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში და, აგრეთვე, ყველა სახელმწიფო საწარმოში და დაწესებულებაში, რომელიც გადატანილია სამეურნეო ანგარიშზე.

	ა.	ბ.	გ.	დ.	
	დროებითი შრომის უუნარობისა და დამატებითი უზრუნველყოფისათვის	ინვალიდობისათვის და დაქირავებით მშრომელთა ოჯახების წევრთა დახმარებისათვის, როდესაც ამ ოჯახების მარჩენალი პირი გარდაიცვლება ან უკვალოდ დაიკარგება	უმუშევრობისთვის	სამკურნალო დახმარებისთვის	ჯამი
1. კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით.	6 პროც.	3 ნახ.	2	4 ნახ.	16
2. კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით.	6 ნახ.	4 ნახ.	2	5	18
3. კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით.	7	5	2	6	20
4. კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით.	8	5 ნახ.	2	6 ნახ.	22

2. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა და საწარმოსათვის (მათ შორის რკინის-გზისა, წყლის ტრანსპორტისა და კავშირისა) და, აგრეთვე, სათბობი და მეტალის მრეწველობის იმ საწარმოთათვის, რომელთაც ფინანსიურად ინახავს სახელმწიფო,—დაწესებულ იქნეს 1923 წლის მაისის 1-დან შემდეგი დროებითი შეღავათიანი ტარიფი:

ა) დაწესებულებათათვის 12 პროც. რაოდენობისა შემდეგის განაწილებით დაზღვევის სახის დაგვარად:

ა. დროებითი შრომის უუნარობისათვის . . . . . 4 ნახ.
ბ. ინვალიდობისა და ოჯახის წევრთა დახმარებისათვის. . . 1 ნახ.
გ. უმუშევრობისათვის . . 2
დ. სამკურნალო დახმარებისათვის 4

ბ) სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტისათვის 16 პროც. რაოდენობისა შემდეგის განაწილებით დაზღვევის სახისდაგვარად.

ა. დროებითი შრომის უუნარობისათვის 6
ბ. ინვალიდობისა და ოჯახის წევრთა დახმარებისათვის . . 3 ნახ.
გ. უმუშევრობისათვის . . 2
დ. სამკურნალო დახმარებისათვის 4 ნახ.

შენიშვნა: პროფესიონალური კავშირები დაზღვევის გადასახადში ეთანაბრებიან სახალხო კომისარიატების ჯგუფს (§ ა).

3. გაუქმებულად ჩაითვალოს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა დავალიანება დაზღვევის გადასახადში, რომელნიც ჩამოთვლილ არიან ამა დადგენილების მე-2 მუხლში, მთელი ხნის განმავლობაში 1923 წლის იანვრის 1-დე.

ხოლო ის დავალიანება, რაც შესდგა 1923 წლის მაისისის 1-დე, დაფარულ უნდა იქნეს მე-2 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ არა უგვიანეს 1923 წლის ივლისის 1-სა, ჯარიმისა და საკურსო განსხვავების დაუმატებლად.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. პოლისი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი გ. სარუხანოვი.

—

დადგენილება № 94.

საქართველოს სოც. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო საქმეთათვის გასაწევი სასამართლო ხარჯების თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წ. იანვრის 31 თარიღით და 134 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად და დასამატებლად, აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. თებერვლის 15-ს თარიღითა და 80 №-ით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად,—საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, რომელიც იხდის სარეწავ გადასახადს, განთავისუფლებულია სალერბო გადასახადისაგან, აგრეთვე სასამართლო და საკანცელარიო ბაჟისაგან.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 12.
ტფილისი—სასახლე.

განცხადებები

საქართველოს ს. ს. რ. განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების შტაბი ამით აუწყებს ამხანაგებს მათთვის დაულალავი, საუკეთესო მებრძოლი ამხანაგის თელავის განსაკუთრებულ დანიშნულების ათასეულის უფროსის

მამია ერისთოვის

უდროვოდ დაკარგვას გმირულ სადარაჯოზე. დაკრძალვა მოხდება ქალ. თელავში ა. წ. 17 მაისს.

ოთხშაბათს, 16 მაისს
ვანო სარაჯიშვილის ოცი წლის არტისტული მოღვაწეობის
იუბილე
1. **აბესალომ და ეთერი** (პირველი მოქმედება. ზ. ფალიაშვილის მუსიკა).
2. **მარგალიტის მაძიებელნი** (რეჩიტატივები და არიები, ბიზეს მუსიკა) ნადირის პარტიას შეასრულებს სარაჯიშვილი.
3. **კარმენი** (მეოთხე მოქმედება ბიზეს მუსიკა) პრიმა-ბალერინა კ. ი. სადნიკოვა.
4. ზ ე ი მ ი.
დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე. კრ. 390 1—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით [illegible] საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყირილანოვის ქ. № 20. (501—25—2)

დაკარგე ლენინის სახელობის ტფილისის პოლიტეხნ. ინსტიტუტის მიერ სტუდენტ ალექსანდრე ივანეს ძე კარაგადაევის სახელზე გაცემული მოწმობა № 5019, ჩაითვალოს გაუქმებულად. № 677 1—1

დაკარგე ვალერიანე ხალამპრეს ძე ჩხარტიშვილის სახელზე გაცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მატრიკული № 403 ჩაითვალოს გაუქმებულად. (675—1—1)

დაკარგე ვაშაკიძის სახელის წიგნი № 33 ლენინის ქუჩა. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 676 1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა